№ 167
კვირა, 18 სექტემბერი

1877—1905

№ 167
კვირა, 18 სექტემბერი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან, თვეში 1 მანათი.
რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.
დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ.. წლიური განცხადება—მორიგებით.
განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

17 ენკენისთვეს, ხანგრძლივის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

კნეინა სოფიო ედუარდის ასული თუმანიშვილისა

რასაც გულითადის მწუხარებით იუწყება კნეინა ოლგა ედუარდის ასული ავალიშვილისა თავის შვილებითურთ და **ლეონიდ ედუარდის ძე გოლდბლატი**. მიცვალებულს წესს აუგებენ სამშაბათს, 20 ენკენისთვეს, დილის 10 საათზე, ლუტერანთა ეკლესიაში, და დაკრძალავენ გერმანელთა სასაფლაოზე. (2—1)

Открыта подписка на ежедневную общественно-литературную и политическую газету

„ВОЗРОЖДЕНІЕ“.

1-й № выйдетъ 1-го октября.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

	На годъ.	На 6 мѣсяц.	На 3 мѣсяц.	На 1 мѣсяц.
Для городскихъ подписчиковъ съ доставкою	6 руб.	3 руб.	1 руб. 50 к.	50 коп.
Для иногороднихъ подписчиковъ съ пересылкою	7 руб.	3 руб. 50 к.	1 руб. 75 к.	60 коп.

Подписка принимается въ конторѣ газеты „ВОЗРОЖДЕНІЕ“, Тифлисъ, Головинскій пр., д. бр. Зубаловыхъ (входъ съ Давидовской ул.).
Плата за объявленія: за строку петита впереди текста 10 коп., позади текста—5 коп.
Съ января 1906 года „ВОЗРОЖДЕНІЕ“ будетъ выходить съ еженедѣльнымъ иллюстрированнымъ приложеніемъ съ каррикатурами, при чемъ оба изданія будутъ стоить 10 руб. въ годъ съ пересылкою и доставкою.

Редакторъ *П. А. Готуа.*
Редакторъ-Издатель кн. *П. І. Тумановъ.*

კვირას, 25 სექტემბერს, 1905 წელს, სათავად-აზნაურო ბანკის ბაღში (სასახლის ქუჩაზე) გაიმართება

სეირნობა

საქველ მოქმედო ბაზრითურთ ქართველ ქალთა საქველმოქმედო საზოგადოების სასარგებლოდ.

ბაზრობა დაიწყება შუადღის 12 საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე. სეირნობის დროს ბაღში დაუკრავს მუსიკა.

ბაღში იქნება საბავშო გასართობი, უზინმაზინის ქედი, ფოსტა, მკითხაობა და სიურპრიზები.

სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში გაიმართება

ცეკვა

ბაღში შესასვლელი ბილეთი დიდებისთვის ჰღირს 20 კაპ., ბავშვებისთვის—10 კაპ. (6—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი.

ანტრეპრიზა საიმპერატორო თეატრების არტისტის

ლ. დ. დონსკოისა

დღეს, კვირას, 18 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება

„ევგენი ონეგინი“

ოპერა 3 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა **ჩაიკოვსკისა.**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი არცაბაშევა, მიშეცკაია, რუდინა, კარპოვა, ბ-ნნი: კოლოტოვი, კარელინი, ევდოხიშვილი, დრაგული, ვოლსკი, დემიანენკო, ფილიპოვი.

ბალეტს განაგებს ბალეტმეისტერი ბ-ნი ბეკეფი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

დირიჟორი ი. პ. ფალიაშვილი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოკადიუმოვი.

ანონსი: ხვალ, ორშაბათს, 19 სექტემბერს, წარმოდგენილი იქნება **„დემონი“**, ოპ. 7 მოქმ. და 7 სურ., მუსიკა რუბინშტეინისა.

ბილეთები იყიდება.

პ. ნ. ფრიდონოვისა, სავაჭრო სახლის **„ძმათა სეილანოვებისა, გ. ზ. გოზალოვისა, ზ. დ. პოპოვისა** და **ე. ა. ატოვმიანის**

ფაბრიკებმა ტფილისში დაარსეს

ამხანაგობა კონფექტების ფაბრიკისა „ფრიდონ“

ბატონ მომხმარებელთ ვსთხოვთ მიჰმართონ ხოლმე ფაბრიკის კანტორას: პავლოვის ქუჩა, სახლი № 12, ტელეფონი № 362 და „ძმათა სეილანოვებისა“, გ. ზ. გოზალოვისა და ზ. დ. პოპოვის მაღაზიებს. 3—1

ღარიბ მოწაფეთა შემწეობისთვის **ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების გამგე კომიტეტი** ამით აუწყებს საზოგადოების წევრთ, **ს ა დ ღ ე ი ს ო დ დანიშნული საგანგებო კრება** საზოგადოების წევრთა გადაიდო, რადგანაც ჯერ არ მოსულა ნებართვა ტფილისის გენერალ-გუბერნატორისაგან.

კახელ მევენახეთა ამხანაგობამ

„ალაზანმა“

დაიწყო ღვინით ვაჭრობა.

მიხეილის პროსპექტი, სახლი ზურაბიშვილისა.
№ 116, ტელეფონი № 792. (5—1)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

მიხელ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 საათ., საღამოთი 6—7 საათ. ვორონცოვის ქუჩაზე (ვერაზე), საკუთარი სახლი № 20, ტელეფონი № 791.

Поступили въ продажу новыя книги
Г. Туманова:

КЪ ВВЕДЕНІЮ НА КАВКАЗѢ ЗЕМСКАГО САМОУПРАВЛЕНІЯ.

Сборникъ матеріаловъ, съ сибирскимъ проектомъ, ц. 20 к.

Характеристики и воспоминанія.
книга 2 я.

Содержаніе. И. И. Свѣдѣнцовъ (Ивановичъ).—В. Л. Величко.—Макс. Горькій на Кавказѣ.—Г. Сундукіанцъ.—А. Цагарели.—Еще объ А. Казбекѣ и З. Антоновѣ.—Д. Ведребисели.—Абс. Іоаннисіани. Ис. Е. Питоевъ.—С. К. Зубаловъ.—П. Умикашвили.—А. Нанеишвили.—кн. Н. Д. Мингрельскій.—Итоги недавняго кавк. управленія (кн. Голицынъ). Изъ театральныхъ воспоминаній, ц. 50 к, 1—1.

აუცილებელი გზა

როდის მოისპობა ქვეყანაზე ადამიანთა ყვლეფა, როდის მოეღება სამუდამოდ ბოლო დაბეჩავებას, როდის განთავისუფლდება კაცობრიობის უმრავლესობა მონობისა და მრავალგვარ შევიწროების უღლიდან, ე. ი. როდის განხორციელდება ქვეყნად ეკონომიური თანასწორობა? ყველა ეს იმგვარი კითხვებია საერთოდ, რომ გადაჭრილი პასუხის მიცემა შეუძლებელია. მაგრამ ეს არც არის იმდენად საჭირო: თუ ჩვენ დაახლოვებით არ ვიცით, როდის გაისმის ხმა იერიქონის საყვირისა, როდის დადგება დღე კაცობრიობის აღდგენისა და განთავისუფლებისა, სამაგიეროდ ვიცით, რომ ეს დღე უსათუოდ უნდა გათენდეს, და ეს კი სრულებით საკმარისია მებრძოლთათვის. მხოლოდ მშიშარა კი სულწასული ჰკითხულობს: როდის, როდისო? რწმენით გამხნევებული მებრძოლი კი შეუჩერებლად მიისწრაფის წინ, გზას იკაფავს და ამით ერთის მხრით თვითონ შორდება თანდათან წაბილწულ ცხოვრებას და უახლოვდება სპეტაკ მომავალს, მეორის მხრით უკან მიმდევრებს გასავლელ გზას უადვილებდეს. მონობის უღელს ადამიანი მუდამ უნდა ებრძოდეს, უსათუოდ უნდა ებრძოდეს და არ კითხულობს, როდის მოვიმკი ჩემი ბრძოლის ნაყოფსაო. დეე, ის ნუ მოიმკის, მისმა შვილმა და შვილის შვილმა მოიმკოს.—განა ეს ნაყოფი არ არის, განა ეს მოგება არ არის? მხოლოდ ბრძოლით შეიძლება უვარგის აწმყოს დანგრევა და მის ნანგრევებზე უკეთეს მერმისის აშენება. გზა ბრძოლისა ერთად-ერთი გზაა ყველა დაჩაგრულთათვის.

ვინ უნდა გამოვიდეს ამ გზაზე? ისინი, ვინც დაჩაგრულნი და გაყვლეფილნი არიან, ე. ი. ყოველი ერის — კაცობრიობის უმრავლესობა. ესენი არიან: ქარხნების, მთა-მადნების, რკინის გზებისა და სხვ. მუშები, წვრილი გლეხობა, წვრილი ხელოსნები, მოსამსახურეები, წვრილი მოხელეები, ღატაკი ინტელიგენცია. ესენი წარმოადგენენ ყოველ ერის უმრავლესობას, ამათი საბოლოო მიზანი ერთი და იგივეა განურჩევლად განათლებისა და წოდებისა. ყველა ესენი უნდა შეერთდნენ, ძმობითა და სოლიდარობით აღიჭურვნენ ერთმანეთისადმი და საერთო გზაზე ერთგულად სწიონ საერთო ჭაპანი.

წოდებას მე აქ იმიტომ ვიხსენიებ, რომ, საუბედუროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არსებობს წოდებრივი გარჩევა-უპირატესობა, არსებობენ წოდებები; ღატაკი გლეხი, ან თავის მტერს ხედავს ღატაკ აზნაურში, ან არ ენდობა მას, არ იამხანაგებს; აგრეთვე ღატაკი აზნაური ჯერ კიდევ მაღლიდან დასჩერებია ღატაკ გლეხს, ჯერ კიდევ თაკილობს მის გვერდში ამოდგომას, მასთან ამხანაგობას, მიუხედავად იმისა, რომ მათი გზა და მიზანი ერთი და იგივეა, და ამიტომ განზე კი არ უნდა გადუდგენ ერთი-მეორეს, არამედ ხელი-ხელს უნდა მისცენ და საერთო გზით ერთად უნდა იარონ. რადგანაც ამ ერთად სვლას ხელს უშლის წოდებრივი ცრუმორწმუნოება, წოდებრივი ცრუმორწმუნოება კი დამყარებულია წოდებრივ უპირატესობაზე, ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ყველა მებრძოლთა, ყველა გაყვლეფილთა ინტერესი მოითხოვს წოდებრივ უპირატესობის მოსპობას, წოდებათა გაუქმებას. ჩვენში „დარჩენილი“ აზნაურები უკანასკნელ გროშს ხარჯავდნენ და დღესაც ხარჯავენ სიგელების, ქაღალდზე აღნიშნულ კეთილშობილების მოსაპოებლად. ამ საწყლებმა არ იციან და აწი მაინც უნდა შეიგნონ, რომ ქაღალდის კეთილშობილება მათ დაღუპვისაგან ვერ დაიფარავს, მათს ხსნას კი აფერხებს; ისინი სხვა ღატაკებთან ერთად უკეთესი მერმისის მოსაპოებლად უნდა იბრძოდნენ და ამის მაგიერად კი ცალკე გამდგარან, ზურგი მომავლისათვის შეუქცევიათ, პირი წარსულისაკენ და ხსნას იქ ელიან, რასაც ცხოვრების უძლეველი მსვლელობა და აუცილებელი ისტორიული განვითარება არღვევს. წოდებათა გაუქმება ცხოვრებამ უკვე გადაწყვიტა და ამიტომ ერის გაყვლეფილი ნაწილი უნდა მიეშველოს აქ ცხოვრებას და დააჩქაროს ის ცვლილება, რასაც თვით ცხოვრება ახდენს.

საფრანგეთის რევოლუცია რომ დაიწყო, ერთი საგულისხმო ფაქტი მოხდა: ეროვნულ კრებაზე გამოცხადდა აზნაურობის ერთი ნაწილი და განაცხადა: ჩვენ ხელს ვიღებთ აზნაურობაზე, უარს ვყოფთ ყოველგვარ წოდებრივ უპირატესობას, ხალხს ვუთანასწორდებით და წოდებათა გაუქმებას ვითხოვთ. ჩვენი ღატაკი აზნაურობა, ის აზნაურობა, რომლის ინტერესები აუცილებლად მოითხოვენ გლეხობასთან გათანასწორებას, გამოიჩენს იმდენს საზოგადოებრივ მოწიფებას, იმგვარ ისტორიულ შეგნებას, იმგვარს მოქალაქობრივ სივაჟკაცეს, როგორიც ფრანგებმა გამოიჩინეს? სამწუხაროდ, მე ვერსად ვხედავ ჩვენში ამის ნიშნებს და ამიტომ ყველა მებრძოლებმა: გლეხებმა, ხელოსნებმა, მუშებმა, ინტელიგენციამ ერთხმად უნდა მოითხოვონ წოდებათა გაუქმება,—ეს აუცილებლად საჭიროა მათთვის, მათი ინტერესი აუცილებლად მოითხოვს ამას. წოდებათა გაუქმება მოსპობს იმ წოდებრივ ცრუ-მორწმუნეობას, რომელსაც ჯერ კიდევ ღრმათ აქვს ჩვენს ცხოვრებაში ფესვები გამდგარი, და ამგვარად ყველა ღარიბ ღატაკთა და დაჩაგრულთა გაერთიანებას და ერთის გრძნობით, ერთის აზრით, ერთის მისწრაფებით გამსჭვალვას ამ მხრივ აღარაფერი აღარ გადაეღობება წინ.

აი, ამაში მდგომარეობს, ერთის მხრივ, საბრძოლველი გზის გაკაფვა და გათელვა ჩვენში.

აწინდელ ეკონომიურ უთანასწორობის მოსასპობად მომართული ბრძოლა მთელს დედამიწას მოდებული აქვს, მაგრამ მებრძოლნი ყველგან ერთსა და იმავე პირობებში არ იმყოფებიან. საზღვარ-გარედ, სადაც თვით ხალხი ამა თუ იმ სახით მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში, მშრომელ ხალხის ბრძოლას თავისუფალი გზა აქვს დათმობილი: ისინი თავისუფლად ირკვევენ სხვადასხვა პრაქტიკულ კითხვებს,—ერთის სიტყვით, თავისუფლად იბრძვიან, თავისუფლად მოქმედობენ.

ჩვენში კი ხალხის უმრავლესობა სხვა პირობებშია ჩაყენებული: ბრძოლის თავისუფლებას ის სრულებით მოკლებულია, არსებული ბიუროკრატიულ რეჟიმის წყალობით. ბიუროკრატიული რეჟიმი უარყოფს თავისუფლად ლაპარაკს, თავისუფლად წერას, თავისუფლად შეკრებას, თავისუფლად შედგენას რაიმე ამხანაგობისას, თავისუფლად გაფიცვას,—ერთის სიტყვით ყოველგვარ თავისუფლებას ყველა იმგვარ კითხვებში, რომელთა განხორციელებაც ყველა გაყვლეფილთათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს. რა შედეგიც მოსდევს ყოველივე ამას, რამდენად აფერხებს ბიუროკრატიული რეჟიმი თავისუფალ მოქმედებას, რამდენად ეწინააღმდეგება არსებული წყობილება, არსებული მართვა-გამგეობა ხალხის კეთილდღეობას, ხალხის ბედნიერებას, ეს თავისთავად ცხადია. საზღვარ-გარეთის ხალხს ამ მხრივ ჩვენი ხალხი იმდენადვე შეედრება, რამდენადაც ხელებ ახსნილ ადამიანს ხელებ შეკრული. ხელებ შეკრულ კაცს რა საქმის გაკეთება შეუძლიან, სანამ ის ხელებს არ გაინთავისუფლებს?! ცხადია, მთელი მისი მეცადინეობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ მან ხელები აიშვას, მოქმედებისათვის თავისუფლება მიიპოვოს და მხოლოდ მაშინ შეეძლება მას ნაყოფიერი მოქმედება, ნაყოფიერი ბრძოლა. ჩვენ ხალხს: მუშას, გლეხს, ხელოსანს, ღარიბ ინტელიგენციას,—არსებული ბიუროკრატიული რეჟიმი ხელს უკრავს, ამიტომ მან ყოველი ღონე უნდა იღონოს, რომ ხელები აიშვას, გაინთავისუფლოს, ე. ი. არსებული რეჟიმი შესცვალოს ისე, რომ თვითონ ხალხს შეეძლოს თავისუფლად მოქმედება იმ გზაზე, რომელიც ერთად-ერთია მისს კეთილდღეობისაკენ მიმავალი.

აი, ამაში მდგომარეობს მეორეს მხრივ საბრძოლველი გზის გაკაფვა და გათელვა ჩვენში.

საბრძოლველ გზის გაკაფვა მოითხოვს, ჩემის აზრით, აგრეთვე ნადელების საკითხის იმგვარად გადაწყვეტას, როგორადაც მე უკვე გამოვთქვი ჩემი აზრი.

წოდებათა გაუქმება, პირადი თავისუფლება, ანუ ხალხის გარევა სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში,—აი, მოკლედ მთელი ჩვენი ნალაპარაკევის დედა აზრი.

გადავავლოთ ახლა თვალი ჩვენს ცხოვრებას, ჩვენი სოფლის მოძრაობას. მაშინ, როდესაც ზოგიერთ კუთხეში ყოველივე ეს გათვალისწინებული აქვს გლეხობას, ზოგან გლეხობა ამგვარ შეგნებას სრულებით მოკლებულია. მაშინ, როდესაც ზოგან გლეხობა შეგნებულად გაიძახის: ჩვენი მიწა ჩვენივე უნდა იყოს, არ გვინდა წოდებები, არ გვინდა ბიუროკრატიული რეჟიმიო, ზოგიერთ სოფლებში გლეხობა შეუგნებლად ყვირის: მიწა მოგვეცით, მიწა, ღმერთმა აკურთხოს და აღადგრძელოს ჩვენი ბიუროკრატიაო! საერთო საქმისთვის საჭიროა შეგნება, მეტი შეგნება; ამგვარი შეუგნებელი ნაწილი ჩვენი გლეხობისა კი საერთო საქმისთვის, სრულებით გამოუსადეგარია იმ დრომდე, სანამ ის არ გაითვალისწინებს ნათლად აწმყოს, მომავალსა და იმ გზას, რომლითაც შეიძლება ამ მომავალში გადასვლა, და ისე თავგამოდებულად არ მოითხოვს არსებულ ბიუროკრატიულ რეჟიმის შეცვლას, როგორის თავგამოდებითაც ნადელებს ითხოვს.

შეგნება, მეტი შეგნება,—აი, რა არის ჩვენი გლეხობისთვის საჭირო. ყველა გლეხი, ყველა მუშა, ყველა ხელოსანი, ყველა მოსამსახურე გამსჭვალული უნდა იყოს ერთი და იგივე აზრითა და მისწრაფებით, ერთნაირის შეგნებით უნდა იყვნენ აღჭურვილნი,—უამისოდ საერთო საქმის კეთება, საერთო მიზნის განხორციელება შეუძლებელი...

ი. გომართელი.

მასწავლებელ ქალთა საზოგადოების სკოლა

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ტფილისში არსებობს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება; ამ საზოგადოებაში მონაწილეობას იღებს ბევრი ქალი, განურჩევლად ეროვნებისა; საზოგადოების მიზანია არა მარტო მატერიალური დახმარება ერთმანეთისა, არამედ საზოგადოების წევრთ უფრო ღრმა და დიდმნიშვნელოვანი მისწრაფებანიც ასულდგმულებენ. მათ სურთ საერთო ძალით ხელი შეუწყონ ერთმანეთის გონებრივ განვითარებას, აამაღლონ მასწავლებლის დანიშნულება ხალხის თვალში, საერთო ძალით განაგრძონ პედაგოგიურ მოღვაწეობისათვის საჭირო მომზადება და განვითარება.

როგორც ხედავთ, ეს საზოგადოება თავის მისწრაფებით სერიოზული დაწესებულებაა და ამიტომ უფლება გვაქვს მოვსთხოვოთ მას, რომ მისი მოქმედება იყოს არა შაბლონური, არა ვაჭრული. საზოგადოება, რომელიც შექმნილია საპედაგოგიო პრინციპების დასაცველად, უნდა ცდილობდეს ამ პრინციპების განხორციელებასაც. სამწუხაროდ, ამას ჩვენ ვერ ვამჩნევთ. ხსენებულ საზოგადოებას აქვს თავისი მოსამზადებელი სასწავლებელი, რომელშიაც უნდა იხატებოდეს ქალთა საზოგადოების იდეური საქმიანობა. ჩვენც ეს სასწავლებელი უფრო იდეურის მხრით გვაინტერესებს. როცა პედაგოგთა კრებული, რომელიც იდეურ მოღვაწეობას ჩემობს, სკოლას აარსებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს კრებული ეცდება რაოდენადმე მაინც თავის სკოლაში პედაგოგიური პრინციპები დაამყაროს და ნორმალურ განვითარების პირობები შექმნას. თუ პედაგოგთა წრე საღ პედაგოგიურ პრინციპების განხორციელებას არ ცდილობს, მაშ ვინღა უნდა ეცადოს?

საუბედუროდ, ხსენებულ მასწავლებელ ქალთა სკოლაში სწავლების სისტემა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ სასწავლებლების სისტემისაგან, იმ სასწავლებლებისა, რომელთა წინააღმდეგ ასე სამართლიანად ამხედრებულია მთელი საზოგადოება. ამ სკოლაშიაც იგივე მუნჯური მეთოდია, სამშობლო ენის იგივე აბუჩად აგდება არსებობს. თუმცა სასწავლებელში მოწაფეთა რიცხვის ნახევარი ქართველებია, მაგრამ ქართული ენა ისევე მივიწყებულია, როგორც სხვა ადგილობრივი ენები. მართალია, აქ ქართული ენისთვის არსებობს ცალკე გაკვეთილები, მაგრამ განა ეს საკმარისია? პირველ-დაწყებით სკოლაში სამშობლო ენა სწავლების საფუძველი უნდა იყოს. ეს იმდენად საანბანო პედაგოგიური ჭეშმარიტებაა, რომ მისი აუსრულებლობა და ღალატი შეგნებულ პედაგოგს არ ეპატიება, მით უმეტეს, როცა ეს ღალატი ხდება არა ერთეულ ადამიანისაგან, არამედ პედაგოგთა მთელ საზოგადოებისგან.

ამ საზოგადოების სკოლაში ოსტატურადაა მოწყობილი ქართულ ენის ცალკე საგნად სწავლება,—ის ზედმეტ ბარგადაა მიჩნეული. ვისაც სურს, რომ მის ბავშვს ქართული ენა ასწავლონ, მან თვეში უნდა იხადოს ამისათვის თითო მანათი. ეს სწორედ იგივე წესია, რომელმაც ასე დასჩაგრა სამშობლო ენის სწავლება მთავრობის სასწავლებლებში. ვინ არ იცის, რომ მშობლები, კულტურულ შეგნებას მოკლებულნი, ნაკლებ ზრუნავენ შვილების საღ აღზრდისა და განვითარებისათვის. მათ წინაშე აღზრდის საქმის მიგდება და მასთან კიდევ სამშობლო ენისათვის ცალკე ხარჯის დაწესება საუკეთესო საშუალებაა სამშობლო ენის სკოლიდან განდევნისათვის.

ასეც ხდება ეს ნამდვილად. მოწაფეთა უმრავლესობა არ იხდის განსაკუთრებულ გადასახადს და, მაშასადამე, სამშობლო ენას არ სწავლობს. ამას მოსდევს ქართული ენის მასწავლებლის არა უზრუნველყოფაც. რადგან მას მხოლოდ ზედმეტ გადასახადისაგან აკმაყოფილებენ, ხოლო ეს წყარო ცოტა შემოსავალს იძლევა, ამიტომ მასწავლებელს რაღაც ერთი თუმანი უწევს თვიურად.

ამნაირად, პედაგოგთა სკოლაში პედაგოგიური პრინციპი უარყოფილია, სამშობლო ენის სწავლება სრულიად მივიწყებული და აბუჩად აგდებულია. სწორედ რომ სამწუხარო მოვლენაა! კრებული, რომელსაც საზოგადოების ნორმალურ კულტურულ განვითარების შესაფერი შეგნებული მოქმედება მოეთხოვება, აწარმოებს არა-პედაგოგიურ პრინციპის თანახმა დაწესებულებას და ამით სავაჭრო საქმედ ხდის აღზრდის საქმეს.

მ.

ბაქოს ამბები და ხალხის მოძრაობა კავკასიაში.

დიდი ხნის მაძინებელი კავკასია თანდათან ამოძრავდა და გამოფხიზლდა, ყველა ის ერი, რომელიც კავკასიის საზღვრებში დღემდის მორჩილად იტანდა თავის სავალალო მდგომარეობას, დღეს განახლების გზას დაადგა და ცდილობს თავისი ცხოვრება მოაწყოს ისე, რომ მოისპოს ყოველივე დაჩაგვრა, ერთმანეთის გაყვლეფა და უსამართლობა. საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში ჩაბმულია დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, გაუნათლებელი და განათლებული, და ხალხი ცდილობს თავის განთავისუფლებას როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად და კულტურულადაც.

თანასწორობა! ამას გაიძახის ყველა და ამ თანასწორობისაკენ მისწრაფებით გაერთიანებულია ყველა, ვინც ცდილობს მის დამყარებას დასავლეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში. ამითაა გაერთიანებული და მხოლოდ ამით.

ცხოვრების პირობები დასავლეთსა და აღმოსავლეთ კავკასიაში ბევრ რამეშია მეტად განსხვავებული, როგორც ერთ ერში სხვადასხვა კლასს, მის საზოგადოებრივ მდგომარეობის მიხედვით, სხვადასხვა სამოქმედო პროგრამმა აქვს შემუშავებული, ისე ერთ სახელმწიფოს ან ერთ მხარეში მცხოვრებ სხვადასხვა ერს, მათ ცხოვრების არსებულ პირობების მიხედვით, ხშირად სხვადასხვა მტერი ჰყავთ დასამარცხებელი, ამ მტრის დასამარცხებლად სხვადასხვა საშუალება აქვთ მისაღები.

დასავლეთ კავკასიაში, სადაც ერს წინანდელ დროიდანვე მთლიანი ტერიტორია აქვს გადმოცემული, ეროვნულ შუღლს და მტრობას ადგილობრივ მცხოვრებ სხვა რომელიმე ერთან არავითარი ადგილი არა აქვს. მის ყოველ მხრივ განვითარებას ხელს უშლიდა ის რეჟიმი, რომელიც სპობდა ხალხის პოლიტიკურ თავისუფლებას, რომელიც მას ეკონომიურად სჩაგრავდა და უსპობდა გზას თავისუფალ განვითარებისათვის. ამიტომ იქ ძლიერმა საზოგადოებრივმა მოძრაობამ გარკვეული სახე მიიღო და ხალხმა იქ გარკვეული პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნილებანი წამოაყენა.

სულ სხვას ვხედავთ აღმოსავლეთ კავკასიაში. ერთ ტერიტორიაზე ორი ეროვნებაა დასახლებული, ერთის გაღონიერება მეორეს თვალშისაშა ხდება მის კულტურულ განვითარებისთვის, ერთის გაძლიერება ასუსტებს მეორეს. ეროვნულ მიზნების განხორციელებას ხელს უშლის ადგილობრივი მოწინააღმდეგე, რომელსაც კიდევ თავისი ეროვნული იდეალები აქვს დასახული. ამიტომ აქ ვხედავთ იმას, რასაც დასავლეთ კავკასიაში ადგილი არა აქვს,—ეროვნულ შუღლს, ეროვნულ განხეთქილებას, რომელიც ხშირად ისეთ საზარელ სახეს იღებს, როგორც ბაქოსა, ერევნისა და ნახიჩევანში.

დასავლეთ კავკასიაში თუ უფრო პოლიტიკური და ეკონომიური ხასიათი აქვს ხალხის მოძრაობას, აღმოსავლეთ კავკასიაში მას განსაკუთრებით ეროვნულ ბრძოლის მნიშვნელობა ეძლევა და ამ მხრივ აღმოსავლეთ კავკასიის ამბები დასავლეთ კავკასიაში ფეხმოკიდებულ ხალხის მოძრაობას არაფრით არა ჰგავს.

ეს ავიწყდება იმათ, ვინც რუსულსა და უცხოეთის გაზეთებში სწერს რასმე კავკასიის შესახებ. ეს ორი მოძრაობა ერთი და იგივე ჰგონიათ, ქართველების მოძრაობას ეროვნულ განხეთქილებით ხსნიან, აღმოსავლეთ კავკასიაში დაწყებულ ხოცვა-ჟლეტას და ეროვნულ განხეთქილებას პოლიტიკურ და სარწმუნოებრივ მიზეზებს უძებნიან და საერთოდ კი აცხადებენ კავკასიაში ეროვნული განხეთქილება იმდენად გამწვავებული არის, რომ ადამიანი ადამიანს აღარ ინდობსო.

არა... ეს ორი მოძრაობა სხვადასხვა არის და საჭიროა პრესამ ეს აღიაროს, რომ ამის შემდეგ ორივე მხარეს მოძრაობას თავთავისი მიზეზი გამოუძებნოს ადამიანმა და თავთავისი წამალი გამოუნახოს. ერთი კი არის ცხადი, და ქართველებისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ „ბაქოს ამბებს“ „კავკასიაში დაწყებულ ხალხის მოძრაობასთან“ საერთო ამჟამად ჯერ არაფერი არა აქვს, თუმცა მათის ერთმანეთში დაკავშირებას და ერთად გასაღებას ცდილობენ ზოგიერთი პუბლიცისტები.

ი. ლ—ძე.

კავკასიის ამბები და რუსეთის პრესა.

რუსეთის პრესა კვლავინდებურად დიდ ყურადღებას აქცევს კავკასიას და ულევლინარად ცდილობს გამოარკვიოს კავკასიაში დაწყებულ მოძრაობის მიზეზები და რამე მალამო გამოსძებნოს მის მოსარჩენად.

„სინ ოტეჩესტვა“ მეთაურში სწერს: „კავკასიის ადმინისტრაციამ გადაწყვიტა ენერგიული ზომები მიიღოს მოძრაობის ჩასაქრობად: 1) დაარსოს ბაქო-ბალახანაში გრადონაჩალნიკობა; 2) დაარსოს სწრაფი სამხედრო სასამართლო სიცოცხლის და ქონების წინაშე დამნაშავეთა გასასამართლებლად ომის დროის წესებით; 3) გაამრავლოს ჯარი; 4) გაძლიეროს პოლიცია და ნავთის ქარხნები ჯარით დაიცვას. გარდა ამისა, რადგან კავკასიის ადმინისტრაცია დიდ მნიშვნელობას აძლევს ნავთის მრეწველთა რჩევას, ამიტომ მათი წარმომადგენელიც უნდა იყოს ნამესტნიკის საბჭოში. ადმინისტრაციამ უკვე შეასრულა მათი მოთხოვნილების პირველი მუხლი და ბაქოდან ჯერ-ჯერობით 15,000 მუშა გაძევა.

ზემოდ ჩამოთვლილ ზომებიდან მხოლოდ ერთი მუხლია მოსაწონი: ბაქოს პოლიციის რეორგანიზაცია. ბაქოს პოლიცია მართლა რომ არ ვარგა, ცხადია: ამას ამბობდა გუბერნატორი ნაკაშიძეც, ამილახვარიც, სენატორი კუზმინსკიცა და პრინცი დე ნაპოლეონიც. მერე რაში უნდა გამოიხატოს მისი რეორგანიზაცია? გრადონაჩალნიკის დანიშვნაში და პოლიციელების გამოცვლაში? რუსეთის ქალაქების მაგალითებიდან ცხადად დამტკიცდა, რომ გრადონაჩალნიკებს საქმე ვერ გამოუკეთებიათ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საქმე პოლიციელებისა და სახელების გამოცვლაში კი არ არის, არამედ თვითონ სისტემაში.

სამხედრო სასამართლოს დაარსებაც ახალი ხილი არა არის სამხედრო სასამართლო დღემდისაც იყო კავკასიაში; სამხედრო წესებიც არ აკლდა კავკასიას, მაგრამ... შედეგი ყველას თვალწინ უდგა. მერე ამის შემდეგ რად ჰგონია მთავრობას, რომ ახალი განსაკუთრებული და სასტიკი ზომა ხალხს დაამშვიდებს? საქმის გამოსწორება და გადაწყვეტა შეუძლიან მხოლოდ ჩვეულებრივ და მიუდგომელ სასამართლოს, რომელმაც არც ერთ ეროვნებას არ უნდა დაავიწროვოს კანონი და ყველაფერი სინდისიერად განიხილოს და ხალხიც მხოლოდ ამგვარ სასამართლოს ენდობა; მხოლოდ პიროვნებისა და საზოგადოებრივ თავისუფლების ელემენტარულ უზრუნველყოფას შეუძლიან ბოლო მოუღოს იმ არეულობას, რომელმაც მდიდარი, კულტურული და სამრეწველო კავკასია დალუპა“.

„ნაშა ჟიზნი“ მეთაურ წერილში სწერს: „კავკასიაში ისევ ანარქია სუფევს. რუსეთის საუკეთესო კუთხიდან ყოველ დღე უფრო და უფრო დასაღონებელი ამბები მოდის. დაიწყო სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრების დანგრევა, მაგრამ ამ დანგრევაში კაცი ვერაფერს გაიგებს. უკანასკნელ დროს, რუსეთის პრესაში აუარებელი წერილი იბეჭდება კავკასიის შესახებ. ავტორები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ არეულობის მთავარი მიზეზი ეროვნული შუღლია. სწერენ თათრებისა და სომხების შეტაკებაზე და სულ იმის გამორკვევას უნდებიან, თუ ვინ გაისროლა პირველად თოფი, მაჰმადიანმა თუ სომეხმა. თათრებიც და მაჰმადიანებიც გაცხარებით ამტყუნებენ ერთმანეთს. მაგრამ ეს მტყუნება და თავის მართლება ჭეშმარიტებას ვერ გამოარკვევს.

მეორე მხრით საქმეს ურევს მთავრობა, რომელიც ხან ერთ ერს აძლევს ყველაფერს და ხან მეორეს. ჩვენის აზრით კი კავკასიის მოძრაობასაც ისევე მიზეზები უდევს საფუძვლად, რომელთაც მთელ რუსეთშიაც გამოიწვიეს არეულობა. ძირითადი მიზეზები იმალებიან რუსეთის სახელმწიფო მოწყობილობაში და ამ მოწყობილობით უნდა აიხსნას ისიც, რომ რუსეთის განაპირა ქვეყნები სულ განგაშზე იწვევენ. ეს მეტად სერიოზული პროცესია: იგი სულ მეტისა და მეტის სისწრაფით ვითარდება, უფრო მეტსა და მეტ ადგილს იჭერს თავის მორევში და განუწყვეტლივ დემოკრატიულ რეფორმებისკენ მიისწრაფის. ძალმომრეობის დაქია—„ნოვოე ვრემია“ ამ პროცესს მთავრობის სისუსტეს აბრალებს, მაგრამ ეს არგუმენტი კანცელარიის უკანასკნელი და ერთად-ერთი თოკია, რომელსაც თავის გადასარჩენად მომაკვდავი წესწყობილება ებღაუჭება. ის, რაც „ნოვოე ვრემიას“ მთავრობის სისუსტედ მიაჩნია, მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ადმინისტრაციის მანქანა და ცხოვრების მოთხოვნილებანი ერთმანეთს აღარ ურიგდებიან. ცხოვრება ადმინისტრაციას უკან აღარ უდგებს და ითხოვს უეჭველად წესწყობილების დამყარებასა და ავტონომიას პიროვნებისთვისაც და ეროვნებისთვისაც. მაგრამ რადგან ამ ცხოვრებას წინ დაბრკოლება გადაეღობა, ამიტომ მან სტიქიურად ყველაფერი მოამსხვრია, დაანგრია და ახალ კალაპოტში ჩადგომას ცდილობს. ამისთანა დროს მთავრობას ძალა ეკარგება და მას არავითარი გზით არ შეუძლიან მთიდან წამოსული ნიაღვარი და გრიგალი შეაჩეროს. ბიუროკრატია დაჩვეულია ეროვნულ სამების წვეტას, მაგრამ რით გათავდება ერების წაქეზება, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

ქონებრივი წარმატება გერმანელებისა

მართალია, ყველას კარგად მოეხსენება, რომ გერმანიის პოლიტიკურად გაძლიერებასა და აღორძინებას ხელი შეუწყო, როგორც საფრანგეთ-პრუსიის ომმა, ისე გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა გაერთიანებამ, მაგრამ თუ თვით ხალხი დიდ-ბუნებოვანი არ ყოფილიყო, ბუმბერაზ სახელმწიფოსაც ვერ შექმნიდა. ხალხისა თუ სახელმწიფოს ძლიერების გამომხატველი მისი კულტურა, მისი შემოქმედებითი ნიჭი, მისი შრომის მოყვარეობა და სიმდიდრეა.

პრუსია-საფრანგეთის ომამდე გერმანიას მარტოოდენ პოეტობის და მეცნიერების სამშობლოდა სთვლიდნენ. მართლადაც, მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან აზროვნებისა და პოეზიის სამეფოში არა თუ ერთი პირველ ადგილთაგანი დაიჭირა, არამედ გერმანიამ სხვა ქვეყნებსა და ხალხზე დიდი გავლენაც მოიპოვა.

კანტიდან დაწყებული ნიცშემდე გერმანიის აზროვნებამ ფრიად დიდი მანძილი განვლო და, თუმცა დღეს მთელ ამ „მეტაფიზიკას“ დრომოჭმულათა და უნაყოფოთა სთვლიან, მაგრამ თავის დროზე, ამ მეტაფიზიკასა და სხვადასხვა დარგის მეცნიერებანი: იურისპრუდენცია, ისტორია, პედაგოგია და სხვა მეცნიერებანი ამ „მეტაფიზიკისაგან“ დიდად დავალებულნი არიან.

ყველას არ შეუძლიან შეიგნოს კანტის ფილოსოფია. იგი ძნელი, მძიმე გასაგებია, მაგრამ კანტის ღრმა-აზროვანმა მსჯელობამ, მისმა სასტიკმა ლოღიკამ და მათემატიკურის სისწორით არჩეულმა გზამ სიმართლისაკენ, ძალუმად წასწია წინ გერმანელთა აზროვნება და ზნეობის საფუძველნი თვალსაჩინო ჰყო.

კანტის კატეგორიული იმპერატივი: „შენ მოვალე ხარ“!, ეს მისი ვრცელი თხზულება კაცთა ზნეობრივ მოვალეობის შესახებ, ღრმად ჩასწვდათ გულში გერმანელებს და მათი სულიერი თვისებანი ბევრით გააუმჯობესა.

გრძნობანი მოვალეობის აღსრულებისა და კეთილსინდისიერებისა ისეთ ცხად თვისებად გადიქცა გერმანელისათვის, რომ არამც თუ შინ, გარედაც, უცხო ქვეყნებშიაც კი, დიდის ნდობით ეკიდებოდნენ გერმანელებს და თვალსაჩინო თანამდებობათ აძლევდნენ, ხოლო გერმანელი ხელოსანი ხომ მთელ ევროპაში განთქმული იყო, როგორც საქმის სინდისიერად და ფაქიზად ამსრულებელი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში გერმანელების კულტურა შეუჩერებლივ ვითარდებოდა, მათი სკოლა და მეცნიერება სხვებისათვის სამაგალითო შეიქმნა, მათი ხელოვნება, ვაჭრობა და მრეწველობა ამაღლდა, აყვავდა და გაძლიერდა. მაგრამ ამ დროს გერმანია მარტო თავის-თავისათვის, მარტო შინ მუშაობდა და იღწვოდა.

პოლიტიკური განხეთქილება და გერმანიის წვრილ სახელმწიფოთა კერძოობა ხელს უშლიდა გერმანიის მსოფლიო ძლიერება დაემკვიდრებინა. მაგრამ, აი, დაიწყო ნაპოლეონის ომები და ბევრმა გერმანელმა გაიფიქრა გერმანიის სახელმწიფოთა გაერთიანება და ამ ერთიანობით მსოფლიოში გავლენის მოპოვება.

ეჭვ გარეშეა, რომ პრუსია-საფრანგეთის ომმა ფრთები შეასხა გერმანიის ძლიერებას, მაგრამ ყოველივე შედეგი გერმანიის გამარჯვებისა საფრანგეთზე, გერმანიის წარმატების ხელის შემწყობი არ იყო. პირველ ყოვლისა ხელის შემშლელი გამოდგა ის გარემოება, რომ გერმანია ძალზე გაამაყდა, მისი ეროვნული შემეცნება გაზვიადდა და რამდენიმე წლის განმავლობაში ხელი შეუშალა თვით ერის საერთო ცხოვრების აღფრთოვანებას, მაგრამ ამ დროსაც კი გერმანიის ბევრი გულ-მშვიდი მამულიშვილი დაუღალავათა და გატაცებით მუშაობდა კულტურის გზაზე. წვრილ სახელმწიფოთა გაერთიანებამ და დიდის იმპერიის დაარსებამ გააფართოვა მათი თვალთა ხედვის ისარი. ის სამზღვრები, რომელშიაც მოექცა მათი სამშობლო, ახლა ვიწროდ ეჩვენათ. სამრეწველო მოძრაობა თავის კალაპოტში ველარ ეტეოდა და სულ გარე-გარედ, მსოფლიო ბაზრისკენ იწევდა. ძლიერმა კაპიტალისტებმა ხელი-ხელს ჩაჰკიდეს, შეუდგნენ ქარხნებისა და ფაბრიკების საერთო ძალით აგებას, მრეწველობის განვითარება-გაფართოებას. ახლა გერმანელები აღარ კმაყოფილდებოდნენ „შინაურობაში, მარტო თავის თავისათვის მუშაობით“; დღეიდან მათ მცნებად შეიქმნა: შრომა თავისთვის და სხვისთვისაც, შრომა გამდიდრებისათვის!“

დიახ, სიმდიდრე საჭიროა, სიმდიდრეა პირველი აზარმაცი კულტურულ განვითარებისა, სიმდიდრეა უსაჭიროესი იარაღი წინმსვლელობისათვის, ხოლო კაცის გამამდიდრებელი კი—შრომა და ცოდნაა. ეს ძრიელ კარგად ესმოდათ გერმანელ მამულიშვილებს და, ახალ მრავალ-ფეროვან მოძრაობას, ამ უთვალავ ვაჭარ მრეწველებს მეცნიერული კონტროლი დაუწესს, მეცნიერი ხელმძღვანელები და მრჩევლები ჩაუყენეს და, თუ დღემდე გერმანელი მეცნიერი მარტო ფილოსოფიურად აზროვნებდა, დღეს თავისი გონების საჭე ცხოვრების პრაქტიკულ მხრისკენაც მოაბრუნა.

გამოჩნდნენ გონება ფხიზელი ეკონომისტები. ამათ თვალ-საჩინო ჰყვეს ყველა ის პირები, რომლებიც უზრუნველ-ჰყოფდნენ გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებას. მაგრამ ვიდრე გერმანია მსოფლიო ბაზარზე დამკვიდრდებოდა, ბევრი მარცხი და სიმწარე გამოიარა. ერთი ამ მარცხთაგანი იყო პროფესორის რელის განცხადება, იმ პროფესორის, რომელიც 1876 წელს ფილადელფიის გამოფენაზე იყო გაგზავნილი (ჩრდილო ამერიკაში) და რომელმაც გულწრფელად აღიარა: „გერმანიის საქონელი ყველაზე იაფი და ყველაზე ცუდი გამოდგაო“. ამ განცხადებამ გულზე უკბინა გერმანელებს და მაშინვე ვაჭრობა მრეწველობას სათავეში ნამდვილი მეცნიერები ჩაუყენეს. თუ აქამდე საქმეს მარტო პრაქტიკულად მცოდნე პირნი აწარმოებდნენ, ამიერიდან ამავე საქმეს ხელი მოჰკიდეს მეცნიერულად გაწაფულმა კაცებმა და მრეწველობის კომერციულ მხარეს საფუძვლად ნამდვილი მეცნიერული ცოდნა დაუდეს.

ყმაწვილ-კაცობა ათასობით დაეწაფა ტეხნიკურ ცოდნის შეძენას, დამსახურებული და სახელოვანი პროფესორები შეუდგნენ მრეწველობის ყოველივე დარგის შესწავლა-განვითარების საქმეს და ოთხმოცდა ათიან წლებში ისე ააყვავეს მრეწველობა, რომ გერმანიის ნაწარმოებმა მსოფლიოს ყველა ბაზარზე საპატიო ადგილი დაიჭირა.

მრეწველობის აყვავებასთან ერთად ბევრმა შორს მჭვრეტელმა გერმანელმა განიზრახა უცხოეთში ახალშენების დაარსება. ეს ახალშენები აზარმაცი უნდა გამხდარიყო გერმანიის საგარეო ვაჭრობისა. მაგრამ ასეთ მათ განზრახვათ ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და მათ შორის თვით ბისმარკიც კი. პირველი ახალშენები სამხრეთ აფრიკაში ჰამბურგელ ვაჭრების საკუთრება იყო.

ევროპის გარეშე ახალშენების შეძენის შესახებმა აზრმა სრული თანაგრძნობა მხოლოდ ოთხმოცდა ათიან წლებში მოიპოვა ამ დროს დაარსდა, ეგრედ წოდებული, საახალშენო საზოგადოება“ რომელსაც ამჟამად რამდენიმე ათასი წევრი ჰყავს. ამ საზოგადოებისავე წევრია ბევრი სახელგანთქმული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე.

«საახალშენო საზოგადოების“, მიზანია: გერმანიის მიერ შეძენილ ახალშენთა გამოკვლევა ყოველის მხრით, იქაურ მკვიდრთა კულტურისა, გემოვნებისა და ვაჭრობა—მოთხოვნილებათა შესწავლა, გადასახლება მოსურნე გერმანელთა დიდ ჯგუფებად, რომ მკვიდრთა შორის არ აირიონ და თავისი ეროვნება არ დაჰკარგონ, და ევროპის გარეშედ გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობის აღორძინებისათვის ხელის შეწყობა.

საახალშენო საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი ჟურნალი. გარდა ამისა, ეს საზოგადოება ჰბეჭდავს მრავალ წიგნებსა და წიგნაკებს იმ ქვეყნების შესახებ, სადაც გერმანიის ვაჭრობა-მრეწველობასა და ფინანსებს შეუძლიანთ ფეხი მოიკიდონ. ყველა ზემო ჩამოთვლილ გარემოებათა მეოხებით, გერმანიის მრეწველნი კარგად იცნობენ ახალშენებს და ისეთ ნაწარმოებსაც გზავნიან, რომელიც უეჭველად ბაზარს მოიპოვებს.

მსოფლიო ბაზრის გასაფართოვებლად ყველა სახელმწიფოსათვის საჭიროა სავაჭრო ფლოტი. ამიტომ გერმანელებმა მრეწველობასთან ერთად გააფართოვეს გემთა-აგების საქმეც და დღეს გერმანიის სავაჭრო ფლოტი და გემები მთელის დედამიწის ზურგზე უპირველესნი არიან. ჰამბურგის, ბრემენის, შტეტინისა და დანციგის გემთა-სააღმშენებლო ქარხნები მთელ ქვეყანას აკვირვებს თავისი სიდიადითა და მოწყობილობით.

მორთულობითა და სისწრაფით გერმანიის გემებს არც ერთი ქვეყნის გემები არ შეედრება. მაგრამ ყველაზე უფრო განთქმული და ტეხნიკურის მხრით საკვირველი გემი—„ავგუსტე ვიქტორიაა“, რომელიც ამ ერთი კვირის წინად შტეტინის ქარხნიდან ზღვაში ჩაუშვეს. ამ გემმა ჰამბურგსა და ჩრდილო ამერიკას შორის უნდა იაროს, 25 ათასი ტონი წყალ-წყვა აქვს ($1^{1}/_{2}$ მილიონი ფუთი) და ერთი ორად დიდია თითოეულ იმ გემებზე, რომლებიც აქამდე ამ ზღვებზე დადიოდნენ.

გერმანელები მარტო თავისს ფლოტისა და ვაჭრობის გაფართოვებას არა სცდილობენ. იგინი მეცადინეობენ აგრეთვე, რაც შეიძლება, დიდის მოგებით დააბინაონ თავისუფალი კაპიტალი უცხო ქვეყნებში. ეგრედ წოდებულ „ხელ-საყრელ კონცესსიებით“ გერმანელი კაპიტალისტები დიდ ფულს იგებენ: სხვადასხვა ქვეყნებში იჯარით იღებენ რკინის გზების გაყვანას, ქარხნების აგებას, ელექტრონით განათებას და სხვა ამგვარ სარგებლიან საქმეებს. ყველაზე დიდ ფულს გერმანელები სამხრეთ და შუაგულ ამერიკაში ატრიალებენ. არც ოსმალეთში აქვთ ნაკლები ფული. ამ ქვეყნიდან ლამის სულ გამოდევნონ ინგლისის კაპიტალი.

ყველაზე თვალსაჩინო კონცესია, რომელიც გერმანელებმა ოსმალეთში აიღეს, არის სტამბოლიდან ბაღდადამდე რკინის გზის გაყვანა. ეს გზა გაივლის მთელ მცირე აზიაზე და ძრიელ მალე ამ მხარეს მსოფლიო ვაჭრობის მოზიარეთ გაჰხდის.

ბაღდადის რკინის გზის კულტურული ზეგავლენა ახლავე სჩანს.

ამ ცოტა ხანში გამოიცა გუგო გროტის წიგნი, რომელშიც იგი აღწერს ბაღდადის რკინის გზას და, სხვათა შორის, ამბობს: „ბაღდადის რკინის გზის გამგეობა ყოველ საშუალებასა ხმარობს, რომ ამ ქვეყნის მცხოვრებნი მიწის რიგიან დამუშავებას შეაჩვიოს. ამ მიზნით მან დაარსა სამეურნეო განყოფილება, რომელიც სულ იმის ცდაშია, რომ მკვიდრთა შორის სამეურნეო ცოდნა გაავრცელოს. ზოგიერთ სადგურების მახლობლად და აგრეთვე გლეხთა მამულებში გააკეთეს საცდელი ბაღები, დარგეს ყველა ჯურის ხეხილი, გააშენეს თუთის ხეები, ჭარხლის პლანტაციები, აძლევენ გლეხებს სამეურნეო იარაღებს და ას-

ფელეტონი

„ცხოვრების გარეშე“

(საუბარი).

— სიცოცხლე, ჩემო კარგო, სახნის-საკვეთსა ჰგავს!... როცა სახნის-საკვეთი მუშაობაშია—პრიალებს და ბრწყინავს... როცა უსაქმოდ არის მიგდებული—ჟანგდება... სიცოცხლეც ასეა... მუდმივი მოძრაობა, დაუცხრომელი შრომა აფერადებს, აელვარებს მას!... სამაგიეროდ, ზლაზვნა-ჩმუჩენით ლოღიალი ადამიანისა—აღედებს, ატბორებს სიცოცხლეს და ხავს მოკიდებულ ჭაობს ამსგავსებს...

— ეგ პატიოსანი, მაგრამ ზოგი რამ გავიწყდება. ყველა ხომ შენსავით ერთის მიზნისაკენ არ წარმართავს სიცოცხლეს?! ერთი ერთის გზით მიდის, მეორე-მეორით... შენ იძახი სიცოცხლე მუდმივი მოძრაობაა... გეთანხმები, მაგრამ თანაც განემარტავ: სიცოცხლე მრავალფეროვანია; სწორედ ამ მრავალფეროვანობაშია საფუძველი მისი... უამისოთ იგი აუტანელი გახდებოდა ადამიანისათვის...

— დადგება ხოლმე ადამიანთა შორის ისეთი წამი, როდესაც სხვადასხვა გამომეტყველება კერძო კაცის ცხოვრებისა გვერდზედ უნდა მიდგეს... თითოეული მისწრაფება, სურვილი, სულის-კვეთება ერთის რუხმელისაკენ უნდა მიმდინარეობდეს. ცარიელი სიტყვები რომ არა ვხარჯო, მაგალითებით აგიხსნი:

კარგად იცი, დიდი ხანი არ არის მწერლობას ვემსახურებოდი... ზოგიერთ ჩვენებურ კრიტიკოსისათვის რომ გეკითხნა—გეტყოდა, რომ მუზა უხვი მწყალობელი იყო ჩემი; არც პატარ-პატარა მოთხრობები იყო ხოლმე უნიჭოდ დაწერილი..- ყველასაგან და ყოველთვის ქათინაურები მესმოდა. ერთის სიტყვით, თუ დიდი ვინმე არ ვბრძანდებოდი ჩვენს მწერლობაში, უბრალო რაღაცა ხომ უეჭველად ვიყავი...

მაგრამ, ვერ წარმოიდგენ, რა სასაცილო... რა... არა! ეს სიტყვა ვერ გამოხატავს ჩემს წინანდელ უბადრუკობას.

ისევ შედარებას მივმართავ...

ამას წინად სამხედრო გზით მივდიოდი ტფილისს. კავკავიდამ ღამით გამოველ. რიჟრაჟმა ლარსის სადგურთან მისწრო, ერთის სიტყვით, ის ნაწილი თერგისა, რომელიც, ჩვენი მგოსანი რომ ამბობს, თითქოს რუსულ როზგის ქვეშ იყოს გატარებული, სიბნელეში გამოვიარე, არ მინახავს მისი განაბული, მდორე, უხმო დენა.

დარიალის ხეობაში რომ შევედი, ცხრა თვალი მზე პირში შემოგვცინოდა.

თერგი მოჰქშუოდა, მოჰყეფდა, ზვირთს-ზვირთზედ აგორებდა... ზედ ასკდებოდა რუსხმულში აქა-იქ გაჩხირულ უშველებელ ლოდებს და ჰლახავდა მათ აქაფებულ ტალღებით.

უნდა გეყურებინა, რა მედგარი იყო მიტევა თერგის ზვირთებისა. ღრმა აზროვნება გამოსჭვიოდა მის იერიშში. ბევრ რამ საგულისხმიეროს ამოიკითხავდა ადამიანი ამ ბუნების ძალთა დუღილში.

ხანდახან ერთის შეხეთქებით წყლის ტალღა უძლური იყო გადაელახა გზად დახვედრილი დაბრკოლება და, მრავალ ტოტებად დაფანტული, შეთხლეშებული, უკან-უკან იხევდა, უერთდებოდა უკანიდან მომგორავ ზვირთებს და გაძლიერებული, ქაფ-მოგდებული კვლავ გაქანდებოდა ხოლმე... გადაევლებოდა თავს და მერე, რაკი გაივაკებდა, საამურად მიგოგავდა დაწმენდილი, ოდნავ მჩქეფარე.

მთანი?..

მდუმარებდნენ ზვიადნი, მიუწდომელნი, გათოშილნი, ვით ურწმუნოს არსება.

ყაზბეგი შუბლ-შეკრული იყო, საბურავ მოუხსნელი. ვცდილობდი გამეჭვრიტა მისი მკაცრი, თოვლით ნაკვეთი მწვერვალი, მაგრამ ამაოდ... გარშემო ნისლი შემოჰხვეოდა... გეგონებოდა, ყაზბეგის მწვერვალი ცად-ამართული სამსხვერპლოა და ნისლი-კი მაზედ აღკმეული გუნდრუკიო.

ხარბად ვეწაფებოდი თვალით, ყურით გარემო ბუნებას და ვგრძნობდი, რომ მე, ადამიანი—გვირგვინი ქვეყნიერებისა (რაღა თქმა უნდა, კაცისავე აზრით) თითქმის არა-რა ვარ ამ უტყვბუნებასთან დაპირისპირებული... და თუ ვარ რამე, ისიც მხოლოდ ჩალა-ბულა ქარტეხილთან შედარებით.

ჩემს დღეში არ მიგრძვნია ასეთი სიმცირე, უძლურება ადამიანისა. თვით ოცნებაც-კი ჩლუნგდება ამ ბუნების სიდიადესთან... და მსწრაფლ გამახსენდა რუსეთის თვალ-უწვდენი ველ-მინდვრები, მისი მდორე, შედედებული მდინარენი—ვოლგა, დონი.

რა განსხვავებაა!..

სდგეხარ ტრიალ მინდორში და გაჰყურებ სივრცეს. თვალი ვერ სწვდება ველის სიგრძე-სიგანეს, გეკარგება თვით ჰორიზონტი, მაგრამ გონება მაინც არ მუნჯობს... როდი გრძნობ შენს სივაგლახეს და დაუშრეტელ ძალას გარემო ბუნებისას. ერთ წუთსაც არ გეპარება ეჭვი, რომ ადამიანი მეფეა სამყაროსი... თამამად შეგიძლიან გადალახო ეს ზღვა დედამიწა... მოჰხნა, გასჩეხო. მუდამ დარწმუნებული ხარ, რომ აქ ყველაფერი შენი მორჩილია, შენი ნებისა და სურვილის მონაა... ბალახი, ხე, ნადირი, ფრინველი მდინარე და თვით დაუდგრომელი ქარიც-კი.

აქ-კი ყველაფერი გეურჩება და გჯაბნის კიდეც.

მაგრამ სიტყვა გამიგრძელდა.

მე ეს შედარება იმიტომ მოვიყვანე, რომ დამესურათებინა, როგორი იყო წინად ჩემი სიცოცხლე და როგორია იგი ახლა.

წინად მე ვემსახურებოდი საკუთარ ჟინს, ვახარებდი ჩემს ჭიას და ასე მეგონა, ამასთანავე ქვეყნის წინაშე ვალს ვიხდი მეთქი. მყუდრო იყო იგი, უნიავ-ქარო. მაგრამ, როცა ამოძრავდა ეს ქვეყანა, შეტორტმანდა ხალხი, ვიგრძენი, ასეთი ცხოვრება თავის მოტყუება იყო. რას მიქვიან ხმა-შეწყობილი ლექსები, სიყვარულის აღმბეჭდავი სურათოვანი მოთხრობები. აშკარად ვხედავდი, ამით ქვეყნის იარა არ გამთელდებოდა. მე, როგორც პოეტს, იქნება შემეძლო კიდეც გამომეცნო საიდუმლოება ბალახთ-ბიბინისა და სიტყვებად ამეკინძა იგი... მე შემეძლო ვარსკვლავთ ციმციმში ამომეკითხა ის, რაც, იქნება, მიუწდომელია ვარსკვლავთ-მრიცხველისათვის... მაგრამ ყველა ეს ჩემს თვალში ახლა ამაოა, რადგანაც ამით მშიერის კუჭი ვერ გაძღება და თავისუფლებას აღკვეთილი ადამიანი სალ ჰაერს ვერ შთაისუნთქავს.

მივხვდი ყველა ამას და ვიგრძენი, რომ ამიერიდან საჭიროა მოქმედება და არა ოცნებაში სრბოლა. მოქმედება ძარღვებით, მუსკულებით, სულით და ხორცით...

თვალნათლივი იყო ჩემთვის, რომ ის, ვინც ჰკარგავს უკვე მოპოვებულს, უფრო მედგრად იბრძვის, ვიდრე ის, რომელსაც აქამდის არა ჰქონია-რა და ახლა უნდა შეიძინოს. ვიცოდი, რომ მე უკანასკნელთა მხარეს ვიქნები... არც ის იყო ჩემთვის დაფარული, რომ მოპირდაპირე გაცილებით ძლიერია ჩემიანებზედ... მაგრამ მაინც მორიგი ადამიანობა ვარჩიე დიდ-ბუნებოვან ადამიანობას...

რა ვიცი, იქნება თბილ და რბილ ოთახში, სამწერლო მაგიდის გვერდზე უფრო საპატიოც იყოს დიდ ბუნებოვანებმა, ვიდრე ქუჩაში მორიგი ადამიანობა, საცა ათი ათასი საფრთხე მოგელის, მაგრამ ალბად ჩემმა ბედმა ასე ინება... ღვთის წინაშე, არც ვემდური ჩემს ბედს.

— მერე, კაცო-და... რამ მიგაღწევინა მაგ დასკვნამდე?

— რამ მიმაღწევინა? გძელი ამბავია...

— შენ მოკლედ მიამბე...

— პატიოსანი, გიამბობ... საკვირველია, ღმერთმანი! რამდენი ხანია ასე ბევრი არ მილაპარაკნია...

— განა ლაპარაკის უარყოფაც არის მოთავსებული შენს მრწამსში?

— ხუმრობ, მაგრამ მართალი კი ხარ... ენაჭარტალობა მავნეა იმ კაცისათვის, რომელიც ცხოვრების ქვა-კუთხედად მხოლოდ საქმეს აღიარებს... თითოეული უქმად დახარჯული სიტყვა ადუნებს მომქმედ ადამიანს, ასუსტებს სამოქმედო გარდაწყვეტილებას... შეიძლება უცაბედად წარმოთქმულმა ან გაგონილმა სიტყვამ თავიდანბოლომდის აირიოს დიდის ხნის მოაზრებულ-ნათათბირევი საქმე... ამით შეფერხდება განზრახვის აღსრულება. ჩემებრივის გზით მავალი ადამიანი უნდა გაურბოდეს ლაპარაკის მოყვარულ საზოგადოებას და თვით კერძო კაცსაც. ჩვენ არ კი ვლაპარაკობთ, არამედ ვმოქმედობთ...

— ეგ ხომ აგრეა, მაგრამ, როცა თქვენს „სიმბოლს სარწმუნოებისას“ ავრცელებთ ხალხში, სიტყვას არ მიმართავთ ხოლმე?

— არა! ჩემისთანები ჩვენს „სიმბოლოს სარწმუნოებისას“, როგორც შენ ეძახი, საქმით ავრცელებენ, ე. ი. მუსკულთა მოძრაობით. ეს უფრო ძლიერი საბუთია ხალხისთვის, ვიდრე იდეოლოგია...

— მერე და... განა მაგისთანა საქმისათვის სხვას ვერ აირჩევდით?... მაგალითად, იმისთანას, რომელსაც ძარღვების მეტი არა ემორჩილება-რა. შენ ენითაც და კალმითაც უფრო დიდ სამსახურს გაუწევდი...

— შემცდარი ხარ, ჩემო მეგობარო, და ძალიანაც... მე რომ ვამბობ, მოქმედებით ვავრცელებთ-მეთქი ჩვენს მოძღვრებას, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ საქმისათვის ხელის განძრევის მეტი არა იყოს-რა საჭირო... ჯერ ერთი, საჭიროა მტკიცე და ჭეშმარიტი შეგნება, რომ წმინდა საქმეს ემსახურები. მეორე—საშინელი გამბედაობა, სამსხვერპლოდ თავ-გადადების თანაბარი. და მესამე უნარი, ურომლისოდ, სიკეთის მაგიერ, ვნების მეტს არას მოუტანს კაცი საქმეს...

— აბა ახლა, დაპირებაზე როგორა ხარ? მომიყევი, რამ შესცვალა ასე ძირიან-ფესვიანად შენი ცხოვრება?

— რაკი არ დაგიშლია, შენი ნება იყოს... ამ ორი წლის წინად ერთი ქალი მიყვარდა... ღიმილზე გატყობ, ეს ამბავი გეუცხოვება. ნუ გავიწყდება, რომ მაშინ ჯერ კიდევ ის არ ვიყავი, რაც ახლა ვარ. მაშინ ოცნებით უფრო შემეძლო სულიერი საზრდოობა, ვიდრე დღიურ სიცხადის შთაბეჭდილებით. იცოდე, ვინც ცხოვრების ნამდვილი ასავალ-დასავალი იცის და ვინც საღის გონებით და დამშვიდებულის გულით უწევს ანგარიშს, იმას ისეთი სიყვარული არ შეუძლიან, როგორც მე მომევლინა. ჯერ ერთი, რომ პოეტი ვიყავი და ჩემი სიყვარულიც, რაღა თქმა უნდა, პოეზიით აღსავსე იყო. მეორეც—სრულიად ახალგაზდა, კურსი არც კი მქონდა გათავებული. მაშასადამე, ყველაფერი ჩემს თვალში ცისარტყელასავით აფერადებული იყო. მაგალითად, თამამად შემეძლო მთელის საათობით ყური მეგდო ბულბულის სტვენისათვის და უზომოდ დავმტკბარიყავ მისის კრიმანჭულით. ახლა ერთ წუთსაც ვერ გავუძლებ ამ ხმას. ან რა არის ბულბულის გალობაში გრძნობის აღმძვრელი, ვერ გამიგია?! გესმის რაღაც უცნაური ტკაცა-ტკუცი გაწვრილებულის ხმისა... მცირედიც არის კილოიანი ჰანგი, რომელიც გულის სიღრმემდის უნდა გწვდებოდეს, არ მოიპოვება ამ დაუსრულებელ ბგერათა გრეხილში. აკი ვამბობ, რაღაც ტკაცი-ტკუცია გეგონება, ცეცხლზე სიმინდს ახლიანო.

მაშინ კი ბულბულის სტვენა სიყვარულის ჰიმნად მიმაჩნდა... და ისიც ჩემის სიყვარულის ჰიმნად!

გაფურჩქნილ ვარდს რომ ვხედავდი, ასე მეგონა, მეხვეწება, მომწყვიტე და შენ სატრფოს მიმართვიო.

საღამ-საღამოობით, როცა ცელქი ეთერი ხალისით ჩამოურბენდა ხოლმე ბუნებას, ფოთოლთ ააშრიალებდა, ბალახთ აბიბინებდა და ჩემს მიჯნურს შუბლზე გადმოყრილ თმის კულულებს აუფორიაქებდა, გულში შური მეძგროდა, რატომ ეთერი მე არ ვიყავი და მე არ ვუკოცნიდი ისე თამამად ანგელოზებრივ მშვენიერ სახეს.

ერთის სიტყვით, მიყვარდა ის ქალი ისე, როგორადაც შეუძლიან სიყვარული ახალგაზრდა პოეტს, რომლის არსებას ჯერ არ შეხებია მსახვრელი ხელი ცხოვრების სიცხადისა.

მიყვარდა, მაგრამ ჯერ როდი გამემხილა ქალისათვის, რა გრძნობა ჰბუდობდა ჩემს გულში. მიხვედრით კი მიხვედრილი იყო და ისე უყუჩდებოდა ამ გრძნობის მეტყველებას, როგორადაც

წავლიან მინდვრის მოვლას, მეოჯახეობას და სხვა. ყველა ეს ცდა-დარიგება უნაყოფოდ არ მიდის, ადგილობრივი მკვიდრნი მალე სწავლობენ და გერმანელების დიდი მადლობელნიც არიან.

ბაღდადის რკინის გზის ექსპლოატაციის გარდა, გერმანელებმა ოსმალეთში ბევრი სხვა კონცესიებიც აიღეს, მაგალითად, მაღაროების გამგეობა და სხვა.

გერმანელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრედვე სავაჭრო და სამეურნეო წარმოებათ თვით გერმანიის ახალშენებში, ავსტრალიისა და აღმოსავლეთ-აზიის კუნძულზე. ყველა ამ ქვეყანას გერმანელები დაწვრილებითა სწავლობენ და იკვლევენ. ყოველ დღე ამოიკითხავთ გერმანულ გაზეთებში, რომ ამა და ამ ახალშენში ამდენი და ამდენი ინჟენერი, აგრონომი და ტეხნიკოსი წავიდა ამა და ამ საკითხების გამოსარკვევადაო. ყველა ზემოდ ნათქვამი ნათლადა ჰმოწმობს, რომ, თუმცა გერმანელებმა გვიან მოჰკიდეს ხელი საახალშენო საქმეს, მაგრამ ისეთის გაბედულებითა და მხნეობით იქცევიან, რომ დიდი მომავალი უქადით.

ერთის სიტყვით, გერმანიის ქონებრივ წარმატებას ხელი შეუწყო გერმანელთა მხნეობამ, შრომის მოყვარეობამ, ყოველ მხრივმა სამეცნიერო განათლებამ და საშუალო ძალთა მუდმივმა განვითარებამ.

არტურ ლეისტი.

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

17 სექტემბერი.

ბაქო, 16 სექტემბერი. ოთხშაბათს სომხებმა და თათრებმა ზავზე ხელი არ მოაწერეს. ამიტომ სომხების ეპისკოპოსმა პროცესიაში მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადა. ძალიან ემწნეოდა, რომ სომხები ცოტანი იყვნენ. ბიბი-ეიბათისა და ბალახნის ზოგიერთ ქარხნებმა, მუშების ზედ-გავლენით, მუშაობა დაიწყეს.

პეტერბურგი, 16 სექტემბერი. თანახმად შინაგან მინისტრის მოსაზრებისა, სახელმწიფო სათათბიროში ციმბირიდან 350 ათას მცხოვრებზე ერთი წარმომადგენელი მოდის. ეს მოსაზრება მინისტრთა საბჭომაც მოიწონა. რადგანაც ენისეის გუბერნიას მხოლოდ 76 ათასი კაცი აკლია იმისთვის, რომ ორი წარმომადგენლის გაგზავნის უფლება მიენიჭოს, ეს გუბერნია ზემოდ დასახელებულ წესს არ დაემორჩილება. ამ გუბერნიიდან გაიგზავნება ორი წარმომადგენელი, მაშინ როდესაც სხვა გუბერნიები და ოლქები თითო წარმომადგენელს გზავნიან. ტობოლის გუბერნიაში 64 ამომრჩეველია, ამათგან 50 გლეხია, ტომსკის გუბერნიაში—90, ამათგან 74 გლეხია, ირკუტსკისაში—16, ამათგან 11 გლეხია, ენისეისაში—33, ამათგან 25 გლეხია, იაკუტსკის გუბერნიაში 16 ამომრჩეველია—ყველანი გლეხები.

ოდესა, 16 სექტემბერი. საბჭომ დაადგინა, სამშობლოში დაბრუნების გამო, ვიტტეს მისალოცი დეპეშა გაუგზავნოს.—ქალების პედაგოგიურ კურსების საბჭომ დაადგინა: კურსების ავტონომიის პროექტის შესადგენად კომისია ამოირჩიოს.—უნივერსიტეტის საბჭოში აძრულია საკითხი ინსპექტორის თანამდებობის მოსპობისა და პრორექტორის თანამდებობის დაარსების შესახებ.

ნიჟნი-ნოვგოროდი, 16 სექტემბერი. საბარჟო საზოგადოების კრებაზე პეტერბურგის რჩევაზე დასასწრებლად, რომელიც 22 სექტემბერს უნდა მოხდეს, ათი წარმომადგენელი ამოირჩიეს. შიშობენ, რომ გაზაფხულისთვის 80% გემებისა უნავთოდ არ დარჩეს.

პეტერბურგი, 16 სექტემბერი. 1904 წლის 2 თებერვლიდან, რუსეთის საზღვრებში ცხენების გაყვანა ან შემოყვანა აკრძალული იყო. 11 სექტემბრის უმაღლეს ბრძანებით, ეს დადგენილება მოისპო.—შუადღისას, ვიტტე გემის „სტრელათი" „პოლიარნაა ზვეზდასკენ" წავიდა.—16 სექტემბერს გარეშე საქმეთა და ფინანსთა მინისტრმა და საფრანგეთის აქაურმა ელჩმა ახალ სავაჭრო კონვენციას ხელი მოაწერეს.

ბაქო, 16 სექტემბერი „რუსკ. ვედ."-ში მოთავსებული იყო ცნობა, ვითომც აქ იარაღის ტარების უფლება ათი ათას კაცისთვის მიეცეთ. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია. მთელს გუბერნიაში ერთის წლის განმავლობაში სულ 2963 კაცს მიეცა იარაღის ტარების უფლება; ამათ რიცხვში 1075 მაჰმადიანს 1011 სომეხსა და 876 რუსს. გუბერნიის მართველი ლილეევი.

ბელგრადი, 16 სექტემბერი. ცნობა იმის შესახებ, ვითომც გარეშე საქმეთა მინისტრი სამსახურს თავს ანებებდეს, სიმართლეს მოკლებულია.

სიმფეროპოლი, 16 სექტემბერი. მელიტოპოლის საბჭო შუამდგომლობს, რომ საარჩევნო უფლება ებრაელებსაც მიენიჭოსო.

სტამბოლი, 15 სექტემბერი. რადგანაც პორტამ ფორმალურად აღიარა, რომ მაკედონიაში დანიშნულ ფინანსიურ კონტროლიორებს ინვენსტიტურას არ მივცემო, ოტტომანის ბანკმაც, როგორც სახელმწიფო დაწესებულებამ, განაცხადა, რომ ამ კონტროლიორებს არავითარ დახმარებას არ აღმოუჩენთო. ფიქრობენ, რომ ელჩები ან რაიმე ახალ კომბინაციას მოიგონებენ, ან პორტა'ზე გავლენას იქონიებენ და დაიყაბულებენო.

პეტერბურგი, სამხედრო-საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე ლეიბგვარდიის პოლკოვნიკის ავგანარიუსისა, რომელსაც სალდათის გალახვა ბრალდებოდა. სასამართლომ ავგანარიუსს ციხეში ოთხის თვით დაპატიმრება და ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევა გადაუწყვიტა.

ლონდონი, 16 სექტემბერი. „დეილი ტელეგრაფი" მოწინავე წერილში ამბობს, რუსეთის მთავრობას კარგად გაგებული აქვს ჩვენი პოლიტიკა ინდოეთში. ჩვენი სტრატეგიული რკინის გზების ავღანისტანის საზღვრამდე გაყვანა მხოლოდ იმითი აიხსნება, რომ ინგლისის მთავრობას ემირის აღმოსავლეთი სამფლობელო რუსეთისა და ველიკობრიტანიის ოფიციალურ საზღვრად მიაჩნია.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

ინგლის იაპონიის ხელშეკრულობის ერთი მუხლი ამბობს, რომ ინგლისმა სინგაპურის სრუტე უნდა გაამაგროს და სინგაპურის ნავთსადგური იყიდოს, იაპონიამ კი ამას ხელი არ უნდა შეუშალოსო. ინგლისის წარმომადგენელმა და სინგაპურის ნავთსადგურისა და დოკების პატრონებმა დოკები უნდა დააფასონ. როგორც ამბობენ, ეს ახალი ბაზა ინგლისს 250 მილიონ მანათზე ნაკლები არ დაუჯდებაო. თუ სინგაპურში ინგლისმა ფეხი მოიკიდა, მთელი დიდი ოკეანე ინგლისსა და იაპონიას დარჩებათ. ამ ამბავმა დანარჩენ სახელმწიფოებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

იაპონიაში. ტოკიოდან „ჟურნალს" დეპეშით ატყობინებენ: იაპონიის მეთევზეებმა ტოკიოში დიდებული მანიფესტაცია მოახდინეს და მადლობა გამოუცხადეს ფლოტსა და ჯარს, რომელთაც სახალინი ისევ იაპონიას დაუბრუნეს (რ. ვ.).

ომმა დიდად უშველა იაპონიის ჟურნალ-გაზეთობას, ომის დროს გაზეთების ხელის მომწერთა რიცხვმა საერთოდ ერთი ათჯერ იმატა. ზოგ გაზეთის ხელის-მომწერმა ერთი ასჯერაც იმატა. ტოკიოში იმდენი გაზეთები და დეპეშები იბეჭდება, რომ ზოგჯერ მთელი ტოკიოს ქუჩები თეთრად არის ხოლმე მოფენილი წაკითხულ და გადაყრილ ფურცლებით. საერთოდ მარტო ტოკიოში დღეში 2 მილიონი ცალი გაზეთი იბეჭდება (რ.).

რესპუბლიკა ნორვეგიაში. ნორვეგიაში რესპუბლიკის შემოღების მომხრე პარტიას დღითი დღე ემატება თანამგრძნობელი. ამ ჟამად შესდგა საკმაოდ მოზრდილი პარტია, რომელშიაც სოციალ-დემოკრატების გარდა ბევრი სხვა პარტიის წევრიც იღებს მონაწილეობას. პარტიას აზრად აქვს ნორვეგიაში რესპუბლიკა შემოიღოს, რისთვისაც პროპაგანდას გასწევს და ეცდება ამ საქმეშიაც ხალხს დაეკითხონ (ს. ო.).

რეფორმები რუსეთში

სამხედრო მინისტრმა ჯარების უფროსებს შეატყობინა: რადგან უკანასკნელ ხანებში მეტად გავრცელდა **იარაღის ქურდობა**, ამიტომ გთხოვთ არაჩვეულებრივი ზომები მიიღოთ არსენალების დასაცავადო.

✦ პოლიციის დეპარტამენტმა დომბროვის რაიონის ადმინისტრაციას სთხოვა, გაფაციცებით ადევნეთ თვალყური **ქვის ნახშირის მადნების მუშებს**, თორემ მანდაც ისეთივე ამბები მოხდება, როგორიც ბაქოში მოხდაო. ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა კოკოვცევმა პოლიციის მინისტრს ტრეპოვს მისწერა, დომბროვის რაიონიდან ასეთი და ასეთი ხმები მოდის და შესაფერი ზომები მიიღეთო. რუსეთის მრეწველობა სამ წყაროდან იკვებება: ბაქოდან და დონისა და დომბროვის რაიონიდან. თუ ერთ-ერთ რაიონსაც ბაქოს ამბავი დაემართა, რუსეთის მრეწველობა დაიღუპებაო (რ. ვ.).

სასახლის კომენდანტად ნამყოფის, გენ. გესსეს ქვრივს პენსიად დაენიშნა 12,000 მანათი, მიეცა ხაზინის ხარჯით სადგომი და შვილების გამოსაზრდელად **საჭირო ფული**. პორტ-არტურის ერთად ერთ გმირის გენ. კონდრატენკოს ქვრივსა და სამ შვილს კი წელიწადში დაენიშნა 4000 მანათი (რ. ვ.).

✦ „რუს. ვედ."-ს კიევიდან სწერენ: ჩერკასკში ერთმა ახალგაზდამ პოლიციის **ბოქაულს გოგირდის სიმჟავე შეასხა პირისახეზე.** დამნაშავე დაიჭირეს. ის ხან ალექსეევს ირქმევდა და ხან ბერგანს. რადგან ამ ორიოდე თვის წინად ასეთივე ამბავი მოხდა ეკატერინოსლავში, ამიტომ ჩერკასკის პოლიციამ დაჭერილი ეკატერინოსლავის პოლიციას გაუგზავნა. დაჭერილი წარუდგინეს პოლიციელს ეფიმენკოს, რომელსაც ივლისში ვიღამაც გოგირდის სიმჟავე შეასხა პირისახეში, გამოკითხვის დროს, ბერმანმა (იმავე ალექსეევმა) განაცხადა, „არასდროს არ ვეკუთნოდი სოციალ-დემოკრატიულ პარტიას", პირიქით, საიდუმლო პოლიციის აგენტად ვირიცხებიო. გარდა ამისა ალექსეევმა სთქვა, მინსკში პოლიცმეისტერს განგებ ვესროლე რევოლვერი და ავალმაყალი ავტეხეო. მინსკში ამის გულისთვის დამიჭირეს, მაგრამ მალე გამანთავისუფლეს და დარწმუნებული ვარ, რომ ეხლაც მალე გამანთავისუფლებენო.

✦ სამხედრო სასწავლებელთა მთავარმა სამმართველომ სასწავლებლების უფროსებს ცირკულიარით შეატყობინა: მასწავლებლები მოვალენი არიან სწავლაში **მტკიცედ დაიცვან კონსერვატიული და ნამდვილი რუსული სისტემა** (ნ. ქ.).

✦ პეტერბურგის ქალაქის მმართველობის რევიზორებმა ჩამოუარეს იმ პირთ, რომელთაც კენჭი ეძლევათ სახელმწიფო სათათბიროში და პირადის მოლაპარაკებით ჩასწერეს საარჩევნო სიაში. რევიზორებს სიაში ჩაუტანიათ სულ 2200 კაცი. უმეტესობას, რევიზორების სიტყვით, **არაფერი ესმის მომხდარ რეფორმისა.** ბევრ მათგანს რევიზორი გადასახადთა ინსპექტორები ეგონა, რომელნიც ვითომ ახალ ხარჯების გასაწერათ მისულიყვნენ. უმეტესობა მტრულად დახვდა რევიზორებს (რ. ო.).

✦ 30 აგვისტოს, სოფელ ივანოვკას (სარატოვის გუბ.) გლეხებმა კრება გამართეს; მოისმინეს ერთმანეთის ნალაპარაკევი კაზაკების თავგასულობისა და ძალმომრეობის შესახებ და შემდეგი დაადგინეს: ვთხოვოთ გუბერნატორს, რომ ჩვენ სოფლიდან კაზაკები წაიყვანოს და ზოგი მათგანი სამართალში მისცეს; აღარ მივცეთ კაზაკებს არც შეშა, არც სურსათი და არც ურმები. გლეხებმა კაზაკების შესახებ გუბერნატორს, სხვათა შორის, შემდეგი ფაქტები შეატყობინეს: კაზაკებმა 16 წლის ქალს სულ უმიზეზოდ 50-ჯერ დაარტყეს მათრახი; 20 აგვისტოს, **კაზაკებმა მოჰკლეს** ერთი გლეხი მხოლოდ იმისთვის, რომ საქურდლად მისულ კაზაკებს არაფერი დაანება; ორ გლეხს ისე სცემეს, რომ საზიარებელი გახდნენ; გარდა ამისა, 20 გლეხმა იჩივლა, მე ხარი მომპარესო, მე ღორიო, მე ქათამიო და სხ. და სხ. საჩივარზე ხელი უწერია 178 გლეხს (რ. ვ.).

დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

დ. ყვირილა, 16 სექტემბერი. დღეს საღამოზე რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა რკინის გზის სადგურს. მოჰკლეს კასირი ზალდასტანიშვილი, გაძარცვეს კასა და მიიმალნენ.

ახალი ამბავი

✦ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარემ ჯამბაკურ-ორბელიანმა ნამესტნიკის კანცელარიის დირექტორს სთხოვა, **ქართულ თეატრის წარმოდგენების საქმე დროზე გადაწყვიტონ**, რომ ამ თვეშივე შეეძლოთ წარმოდგენების დაწყება, რადგან არტისტებს ჯამაგირები სექტემბრიდან ეძლევათ, წარმოდგენების ნება კი ჯერ არა აქვთო. გარდა ამისა, თეატრის ქირას 125 მანეთზე მეტს ვერ გავიღებთ, როგორც ნამესტნიკი დაგვპირდაო. დირექტორმა პირობა მისცა, თქვენს შუამდგომლობას ამ დღეებში დავაკმაყოფილებთო.

✦ გუშინ, 14 სეტემბერს, სასულიერო სემინარიაში პარაკლისის გადახდის შემდეგ, მოწაფენი კლასებში არ შევიდნენ და არჩეული დეპუტატების ხელით **ექსარხოსს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგინეს.** დეპუტატებმა განუცხადეს სწავლის დაწყება შეუძლებელია, თუ ამ მოთხოვნილებებს არ დააკმაყოფილებთო. მოწაფენი სხვათაშორის თხოულობენ ლეგალურ ჟურნალ-გაზეთობის და ლიტერატურის კითხვის ნებართვას, კერძო ბინებზე ცხოვრებას და სხვა. სასულიერო სემინარიის გამგეობამ ჯერ-ჯერობით პირველ კლასში პარალელური განყოფილება დაარსა და მოწაფეებს, ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთების კითხვის ნება დართო.

✦ ხვალ, 19 სექტემბერს, კავკასიის ნამესტნიკის საბჭოში დანიშნულია კრება ადგილობრივ ენებზე **სახალხო კითხვების პროგრამების შესამუშავებლად.** კრებაზე ადგილობრივ ენების ლექტორებიც არიან მიწვეულნი.

✦ დღევანდელ დღისთვის დანიშნული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა ღარიბ მოწაფეთა დამხმარებელ საზოგადოების კრება **გადადებული იქმნა შემდეგისთვის**, რადგან ტფილისის გუბერნატორისაგან ამ კრების ნება-რთვა გამგე კომიტეტს ჯერ-ჯერობით არ მიუღია.

✦ პარასკევს, 16 სექტემბერს კავკასიის სამკურნალო საზოგადოების წევრთ **კრება ჰქონდათ ახალს სადგომში**, რომელიც ქალაქმა აუგო ალექსანდრეს ბაღის ჩახახვევში. კრებამ დაადგინა, ამ შენობის აგების ინიციატორის, ექიმ ანანოვის პორტრეტი ჩამოჰკიდოს დარბაზში.

✦ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე **გენერალი მალამა** გუშინ რუსეთს გაემგზავრა.

✦ განჯის გუბერნიაში გაგზავნილი **გენერალი თაყაიშვილი ტფილისს დაბრუნდა** და გუშინ, 17 სექტემბერს, კავკასიის ნამესტნიკს წარუდგინა ამ გუბერნიაში უკანასკნელ ამბების შესახებ მოხსენება.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო შავი ქვის მწარმოებელთ ამ თვის ბოლოს **კრება მოახდინონ.**

✦ არდაზიანის მაგიერად სასინოდო კანტორის ხაზინადრად **დროებით დაინიშნა ა. დავითაშვილი.**

✦ „ინვალიდ"-ში დაბეჭდილია ახალი სია **ომში დაჭრილ ქართველ სალდათებისა.** აი, მათი გვარები: ჩიჩუა ერმალოზ, გვასალია ნესტორ, ჯორჯოლია ხარიტონ, შავგერიძე დომენტი, არგვლაძე ეფრემ, რევიშვილი გრიგოლ, კონოლიძე ერმალოზ, შუონაძე პარმენ, ტოგონუა არტემ, კორუბერია ნესტორ, ჯალაგანია ერმალოზ, სიგუა კარლოსი, ვაშაკიძე მიხეილ და გეგელაშვილი იასონ.

✦ როგორც „ჩერნ. ვესტ." გადმოგვცემს, 15 სექტემბერს ბათუმში მოსულა გემი „ოდესსა" და **მოუყვანია ხერსონის პოლკის პირველი და მეოთხე ბატალიონი.** ერთი ბატალიონი იქვე დარჩება.

✦ ამ დღეებში, სოფ. კასპში მემამულე თავ. ნ. ანდრონიკაშვილის სახლს 6 შეიარაღებული კაცი დაეცა და იარაღი გაიტაცა. სოფელმა მძარცველები არ გასცა. ამიტომ პოლიციამ გარდასწყვიტა **ყოველ გლეხის სახლში სამ-სამი კაზაკი ჩააყენოს.**

✦ 12—13 სექტემბერს, ქუთაისში, **სამხედრო**

კატა მზის ცხოველმყოფელ სხივს. ქალის კილოიანი, მწყაზარი თვალები ისეთის ციმციმით დაიხრებოდნენ ხოლმე ძირს, როცა გაშტერებით დაუეწყებდი ცქერას, ისეთი კდემა-მოსილი ღიმილი გაუპობდა ალისფერ ბაგეთ, რომ მზად ვიყავი საქვეყნოდ განგაში დამეკრა, ჩემზე ბედნიერი არავინ არის-მეთქი დედამიწაზე. თანდათან ახლოვდებოდა ის წამი, როდესაც უნდა გამომჟღავნებულიყო, ყველაფერი, რაც კი აღელვებდა და თანაც აცისკროვნებდა ჩემს არსებას. უამისობა შეუძლებელი იყო, რადგანაც ოცნება აღარ მაკმაყოფილებდა და ბუნება თავისას ითხოვდა. მომწყინდა ისეთი მდგომარეობა, როცა მშიერ მგელივით ვიჯექი და მთვარის სხივთას ვადევნებდი ფიქრებს სატრფოს შესახებ. ახლა მარტო თვალით ცქერა ქალისა აღარ მმაროდა... მწყუროდა ხელით შეხება, მთრთოლვარე ბაგეთა შეწებება... სურვილთა დაოკება..

გულის ძგერით და ტანში ჟრუანტელით ველოდი ერთსაც, მეორესაც, მესამესაც...

ერთხელ ბაღში რუს-პირად ვისხედით. ანკარა ნაკადული საამურად ჩაჩქაფუნობდა. მის წყალთადენას თან ვაყოლებდით ფიქრებს, რადგანაც ორივენი გაჩუმებულნი ვიყავით. არის ხოლმე ისეთი სულიერი ვითარება, როდესაც ადამიანი გრძნობს, რომ მოახლოვებულა დიდის ხნის მოსალოდნელი გარემოება. აი, საცაა გაჩნდება იგი... მაგრამ ამასთანავე დარწმუნებული ხარ, რომ იმ გარემოებას უეჭველად წინ უნდა უძღოდეს სხვა-რამ სულ მცირე შემთხვევა, ურომლისოდაც ის სანატრელი გარემოება თავს არ იჩენს.

მეც და ქალიც—ორივენი ასეთ მდგომარეობაში ვიყავით. არ ვიცოდით, რა შემთხვევა გვიქრიედა ხელს გულის-პასუხის გამოსათქმელად, მაგრამ გულხმიერება ჩვენი გვამცნობდა, რომ ეს ამბავი შორს არ იყო...

ქალს ხელი წყალში ჩაეყო და მის დენას ქვევქვევით აყოლებდა, თითქოს შინჯავდა, რა ზომამდეა ძლიერი ნაკადის წყალთა სრბოლაო... თანაც სახეზე რაღაც გამოურკვეველი მეტყველება უკრთოდა. უცბად ხელი წყლიდამ ამოიღო და, ჩემკენ სახე მოქცეულმა, თითებ-მოკაუჭებული, იდაყვამდის მოტიტვლებული და ზეამართული მკლავი ჩემის სახის პირდაპირ გააჩერა. წეღანდელი გამოურკვეველი გამომეტყველება ახლა სხვანაირ ღიმილად გაფანტულიყო გაბადრულ სახეზე. თითოეულს ნაკვთში ეს ღიმილი გამოკრთოდა: თვალებშიაც, ტუჩებშიაც და თვით ლოყებზე ამოკვეთილ ნაღრმავებში. რაღაც სულ-მნათის სიცელქით იყო აღსავსე მთელი მისი არსება. მთლად დავიბნიდე, ისე მომაჯადოვა ქალის სიტურფემ და პირდაღებული, თვალებ-დაჭყეტილი შევცქეროდი ამ ოცნების პირმშო შვილს.

ერთი წუთი კიდევ და... ქალმა თითები შეარხია... სახეზე წყლის კამკამა წვეთები მომაყარა. როგორათაც კვესი ტალს, ისე მომხვდა ეს მოძრაობა. ანაზდეულად გამოვერკვიე გაყუჩებას, რადგანაც სხეულში ჟრუანტელმა დამიარა და ძარღვებში სისხლი ამიაპერწკლდა. ვტაცე ქალს ხელში ხელი, მოვიზიდე ჩემკენ, მეორე ხელი წელზედ შემოვავლე და მკერდზედ მივიკარ. მსწრაფლ თვალთა-მეტყველება ჩვენი ერთმანეთისაში გადაიხლართა... ჩემი აღგზნებული ტუჩები ქალის ბაგესაკენ მიისწრაფოდნენ და ის იყო უნდა ჩაემტკბარიყვნენ ვნებათა ღელვის ამბორში, რომ იქვე ახლოს, ბაღს იქით მოისმა საშინელი წივილ-კივილი.

ფეხზე წამოვცვივდით. ხმაურობამ უცბად გონზედ მოგვიყვანა... ორივენი სირცხვილმა შეგვიპყრო იმის გამო, რაც ახლა ჩვენ შორის მოხდა... რადგანაც ერთმანეთის ყურება აღარ შეგვეძლო და გვინდოდა უხერხული მდგომარეობა გაგვეფანტა, იქითკენ გავქანდით, საიდამაც ყვირილი მოისმოდა.

ჩვეულებრივი სოფლის ამბავი იყო. ადგილობრივი პოლიცია და „სტრაჟნიკები" ერთ გლეხკაცს არბევდნენ ,,ფოსტის ფულისთვის''. ოთხ ხალაყინა ჩაფარს შიგ შუა ეზოში გაკავებული ჰყავდათ ერთი ახალგაზდა ბიჭი, ამ სახლის პატრონი. მამასახლისი გზირებით სახლიდამ ავეჯეულობას ეზიდებოდა. დედაკაცებს წივილ-კივილი გაჰქონდათ. საზიზღარი სურათი იყო. ლეკების შემოსევას არ შევსწრებივარ, მაგრამ მგონია ამაზედ საშინელი არ უნდა ყოფილიყო. გულმა ჩქროლვა დამიწყო და ფეხი შევდგი ლობეზედ გადასასვლელად. ამ დროს ვიგრძენ, რომ ვიღაც მებღაუჭება. მივიხედე. ჩემს გვერდით ქალი იდგა. ხვეწნით სავსე თვალები ჩემთვის მოეპყრა.

— ნუ მიდიხარ,—მითხრა ქალმა ჩურჩულით. გავშრი... ადგილიდან ვეღარ დავიძარ. მაგრამ საქმე თანდათან გამწვავდა... გზირებმა ახალგაზრდა ცოლქმრის ლოგინი გამოიტანეს. ცოლი ტირილით თან მისდევდა. მოხუცეეული დედა ბიჭისა მუხლებში ხელებს იცემდა და განწირულებით გაჰკიოდა: ,,ვაჰი სირცხვილო! ვაჰი სირცხვილო!!" ამის დამნახავი ბიჭი აენთო, ერთი შეინძრა, აქეთ აქით აღისროლა ჩაფრები და გზირებისაკენ გაემართა. მაგრამ ჩაფრები წამოეწივნენ და მათრახებს ტყლაშა-ტყლუში აუყენეს. ამ დროს ბიჭმა თვალი მომავლო და მე მომძახა:—ჰეი, აპელატებიანო! ღმერთი აღარ არის თქვენში? განა ეს სამართალია?!

არ ვიცი, მეც პოლიციელად მიმიღო თუ რა იყო. მართლა მხრებზედ ჩემი სასწავლებლის ნიშნები მეკერა და შეიძლება ბოქაული ან სხვა ვინმე მოხელე ვეგონე.

თუ სირცხვილი კაცს სიწითლის სახედ ევლინება, თამამად შემიძლიან ვსთქვა, განუსაზღვრელმა სირცხვილმა შემიპყრო-მეთქი. სახეზედ ალი მეკიდებოდა და შუბლიდან ოფლის ღვარი დამსკდა. ახალგაზდა ბიჭის სიტყვების შემდეგ თვით ამირანის ჯაჭვითაც ვერ გამაკავებდნენ—დავკარ ფეხი და ლობეზე გადავევლე.

ვერ გიამბობ, რა მოხდა ამის შემდეგ. ეს კი მახსოვს, რომ პირველათვე ერთ ერთ ჩაფარს დავეჯახე და ერთის შემკვრით მიწაზედ გავაგორე. მერე ყველაფერი დომხალივით აირია. რაღა ბევრი გავაგრძელო... ეს ამბავიც ისე გათავდა, როგორც ყველა ამისთანა ამბები თავდება ხოლმე. ბოლოს ყველანი მაზრის უფროსთან მიგვერეკეს. მე, რაღა თქმა უნდა, ოქმი შემიდგინეს, თუმცა არ დაუტუსაღებივარ. სამაგიეროდ, მაზრის უფროსის დასმენით, ორი დღის შემდეგ, უცბად ღამით თავს დამეცნენ **ისინი**. გამისინჯეს სახლი, მიპოვეს ზოგი-რამ, რაც არავისათვის დაფარული არ არის და ყველას მოეპოვება...

მიკრეს თავი მეტეხის ციხეში.

ნუ გაგიკვირდება და... იცი, რა აზრს დაავდექი იმ სამის თვის განმავლობაში, რაც მე სატუსაღოში ვიყავი? იმ აზრს, რომ აქამდისაც მე ტუსაღი ვყოფილვარ,—ტუსაღი დიდის, უშველებელის საპატიმროსი, რომელსაც ცხოვრება ეწოდება... ნუ იღიმები! ეს დაკვირვება ზეზეური არ არის. ეს დასკვნა ნაყოფია იმ სჯა-ბაასისა, რომელიც სამის თვის განმავლობაში განუწყვეტლივ მქონდა ჩემსავე თავთან. შენ არ გამოგიცდია ჩემებრი ყოფა და ვერც წარმოიდგენ, რა მტკიცე ბრძმედია საპატიმრო ზოგიერთებისათვის, ვისაც კი სულ-ხორცის ძალა აღკვეთილი არა აქვს .. საპატიმროს შეუძლიან შექმნას ან დიდი ავაზაკი, ან ყოვლად თავისუფალი ადამიანი.

განმარტოვებულ საკანში მყოფი ტუსაღი, ნუ გგონია, მარტო იყოს... იცოდე, მას თან ახლავს მუდმივი მოსაუბრე. კაცი, რომელიც ერთი და ერთი მიჩვეულია აზროვნობას,—მარტოც რომ იყოს,—მაინც ეძებს მოკამათეს. მე ვპოვე ეს მოკამათე. მერე იცი, ვინ იყო? ბოდვა არ გეგონოს,—ჩემივე არსების ასლი, თუ ქართულად შეიძლება ასე ითქვას. დიაღ, ჩვენ, ე. ი. მე და ჩემი ასლი ვიბრძოდით აზრთა სფერაში. მე ვიყავ წარსული, ის იყო აწმყო. მე ვჩიოდი, თავისუფლებას მომწყვიტეს-მეთქი. ის დამცინოდა, განა იყავი-კი როდისმე თავისუფალიო. რის თავისუფალი, როდესაც შენ დაუკითხავად... დაიბადე აღიზარდე ისე, როგორც სხვას უნდოდა და არა ისე, როგორც შენ გსურდა ჰასაკში შეხველ თუ არა, მაშინვე ათასი მოვალეობა მოგახვია თავზე ცხოვრებამ და არც ერთი დამოუკიდებელი უფლებაო. შენ იძახი სიყვარულის სამთავროში ადამიანი სრულიად თავისუფალიაო. ტყუილია! აბა დაუკვირდი შენსა და იმ ქალის სიყვარულს... ეს სიყვარული, თავისუფალი-კი არა, თვით განხორციელებაა ანგარიშისა სხვების მიმართ. ცოლ-ქმრობა, მოვალეობა საზოგადოების წინაშე, შთამომავლობის, წარსულის, აწმყოსი და ვინ იცის, კიდევ რისა. შენ კი კერძოდ რა გრჩება ამ სიყვარულისა! არაფერი!.. შენთვის-კი არ გიყვარს ვინმე, არამედ სხვისთვის, მთელის ქვეყნისთვის...

ხა-ხა-ხა-ხა!—იცინოდა ჩემი ასლი—თავისუფლება შემოქმედობისა. როგორ არა? დიდი თავისუფლებაა, რომ გულწრფელად, გულ ახდილად ერთ სიტყვას ვერ იტყვი,—ან მთავრობა პირიშივე მოგიჭრის, ან ხალხი გაიბურთავებს მასხარაობის მოედანზე. ყველგან და ყველაფერში ბრჭყალებია... სხვისა... მუდამ სხვისი თვალის, სხვისი ყურის დარჯაში გავლილია თითოეული შენი სიტყვა, თუ ნაფიქრ-ნააზრევი. არა! ცხოვრება ისეთივე საპატიმროა, როგორც ეს საკანი, იქაც ისეთივე ოთხი კედელია ადამიანთა ურთიერთობის მიერ ამართული კაცობრიობის ირგვლივ, როგორათაც ამართულია მთავრობის ხელით ეს ზღუდენი შენთვის და შენისთანებისთვის.. განსხვავება მხოლოდ ფარგალია ამ ორ-გვარ ოთხ-კედელ-შუა და პატიმართ შორის... აქ შენა ხარ... იქ—კაცობრიობაა პატიმარი. უნდა დაიქცეს ის ოთხი კედელი, რომ ეს საკანიც აღიგავოს ქვეყნის პირიდან...

შევეჩვიე ამ გესლით სავსე ლაპარაკს ჩემის ასლისას... მერე თანდათან შევისისხლხორცე იგი ბოლოს იმ რწმენას დავადექი, რომ ჩემი ასლი მართალია... მე კერძოდ და კაცობრიობა საერთოდ მუდამ ტუსაღი ვყოფილვართ ცხოვრებისა, ე. ი. კაცთა იმ ურთიერთობისა, რომელიც დამყარებულია ადამიანის ქვეყნად არსებობისა სურვილზედ. ეს ურთიერთობაა, რომ კაცს კაცის მიწადა ჰხდის და ვერ გაარჩევ, სად თავდება ერთის მოვალეობა და სად იწყება მეორის უფლება.

არა! უნდა დაინგრას ის ოთხი კედელი, რომელიც კაცობრიობის ირგვლივ აღუმართავს ადამიანთა ურთიერთობას—ცხოვრებას.

მე ვემსახურები ამ მოძღვრებს! იგი მასულდგმულებს.. მრწამს, რომ ბოლოს ეს მოძღვრება გაიმარჯვებს... როდი ვფიქრობ იმის შესახებ, თუ რა გვარი იქნება მომავალი ცხოვრება. თვით აწინდელ ცხოვრების გაცამტვერებაშია იდეა მომავალ აღნაგობისა.

შენ, ეჭვი არ არის, ყოველ დღე რწმუნდები, როგორ ირღვევა თანდათან საფუძველი აწმყოსი... როგორ ესალმებიან ამ სოფელს ისინი, ვინც ცდილობს გაამაგროს ის ოთხი კედელი, რომელიც კაცობრიობის ირგვლივ არის ამართული... ვაი, მათ! უმრავლესობა-კი საშიში არ არის, რადგანაც ცვალებადია!.. მასში მოიპოვება თვისება ტალღისა. თუ ერთი აბობოქრდა—საზღვარი არ იცის... ადვილად გადალახავს, რაც-კი-რამ წინ გადაეღობება... ჯერ-ჯერობით დაიქცეს აწმყო და მომავლისთვის სხვა იზრუნებს... და აი, ჩვენ ვიქცევთ...

ახლა ხომ მიხვდი, რადაც შევადარე თერგ-ყაზბეგი რუსეთის ველ-მინდორს! ჩემი წინანდელი ცხოვრება რუსეთის ტრიალ-მინდორსა ჰგავდა... ახლანდელი კი—თერგ-ყაზბეგსა... მე თავისუფალი ვარ, რადგანაც ცხოვრების გარეშე ვიმყოფები!.. თერგიც და ყაზბეგიც ასე არიან... ადამიანი მათ ვერ დასთრგუნავს... ტრიალ მინდორს-კი მოჰხნავს, გასჩეხავს, დაიმონავებს თვით მონა-ადამიანი!.. ხა, ხა, ხა!..

გაჩუმებული ვიყავ... გულმოდგინეთ ყურს ვუგდებდი ჩემს მოსაუბრეს... ვერ გამეგო, ვინ იყო ჩემ წინ—სულით-ავადმყოფი თუ წინასწარმეტყველი?! შეიძლება-ერთიც და მეორეც... მე,—ჩვეულებრივ მორიგ ადამიანს,—აზრი, სიტყვა მისი სულით-ავადმყოფისა მეგონა... კილო ალფრთოვანება, სახეზედ გადაფენილი მადლი რწმენით აღსავსეობისა—მქადაგებლისა...

ილია ელეფთერიძე.

სასამართლოში გაირჩა საქმე ოზურგეთის მაზრის მცხოვრებლების სოლ. გარაყანიძისა, იესე გოლიაძისა და ბურჭულაძეებისა, რომელთაც ოქრ. ბურჭულაძის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ სოლ. გარაყანიძესა და გაბ. და დათა ბურჭულაძეებს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, ხოლო იესე გოლიაძე და ლავ. ბურჭულაძე გაამართლა. ამასთან სასამართლომ დაადგინა, იშუამდგომლოს, რომ დათა ბურჭულაძე ჩამორჩობის მაგიერ, კატორგაში უვადოდ გაიგზავნოს.

◆ 12 სექტემბერს, ქუთაისის ოლქის სასამართლოში გაირჩა **საქმე მომრიგებელ შუამავლის თავ. მ. მ. დადიანისა**, რომელსაც თავ. ივ. მაჩუტაძის მოკვლა ბრალდებოდა. სასამართლომ თავ. დადიანი გაამართლა.

◆ ტფილისის ქალაქის მოურავი ბ. **ვერმიშევი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან**.

◆ ავჭალის გამარსწორებელ ახალ შენის მოსამსახურეთ 7 სექტემბერს **გამგეობას წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილებანი**: დირექტორ მალალაშვილის სამსახურიდან დათხოვნა, უსამართლოდ დათხოვნილ მასწავლებლის უკანვე მიღება, ახალ-შენის წესწყობილების რეორგანიზაცია. პასუხად გამგეობამ 14 სექტემბერს სამსახურიდან დაითხოვა ყველა, ვინც ეს მოთხოვნილებანი წარმოადგინა.

◆ ინგუშებმა კავკასიის ნამესტნიკის მიერ მიცემულ სამი დღის ვადას გადააცილეს და ის დამნაშავენი, რომლებიც 29 აგვისტოს მატარებელს დაეცნენ, არ გასცეს. ამის გამო 13 სექტემბერს, კავკავიდამ გაიგზავნა **ინგუშების ერთ-ერთ სოფელში აპშერონის პოლკის ერთი ბატალიონი**, რომელიც ეკზეკუციად ჩადგება ამ სოფელში.

◆ როგორც ზემო-ჭალიდან (გორის მაზრა) გვატყობინებენ, სოფლიდან **გამოუძევებიათ** ადგილობრივ სამინისტრო სკოლის მასწავლებელი, ტომით რუსი, და სკოლაც დაუხურავთ. **სოფელს** უცნობებია დირექტორისთვის, სანამ ქართველ მასწავლებელს არ დაგვინიშნავთ სკოლებში შვილებს არ ვატარებთო.

◆ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწემ შესაძლოდ სცნო **ადმინისტრატიულის წესით გაგზავნილები**, ქ. განჯის მცხოვრებნი ს. მ. ენგიბეროვი, ა. კ. არუთინოვი და გ. მ. პეტროსიანცი კავკასიაში საცხოვრებლად დაბრუნდნენ.

◆ კავკასიის ჯარების დივიზიის უფროსმა გენერალმა რილსკიმ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორთან, რომ დაუყოვნებლივ **შეაკეთონ გზა ალბულაღიდან ტფილისამდე**.

◆ ხელოსანთა მოურავმა გუბერნატორს **დასამტკიცებლად წარუდგინა** თერძების მიერ არჩეულ კანდიდატთა სია. მამასახლისად არჩეულ იქმნა ა. ბ. ფირცხალავა, მის ამხანაგებად ო. ვ. სვანიძე და გ. ვ. ბერიკაშვილი. ხმოსნებად ი. ვ. ბეჟელიძე და კ. ს. გვანცელაძე.

◆ პოლიციის უკანასკნელ ცნობებიდან სჩანს, ბაქოში 44 **სხვადასხვა ეროვნების ხალხ. სცხოვრობს**. მათ შორის რუსები—73,589, კავკასიის ადგილობრივი მაჰმადიანები—53,837, სომხები—34,258, სპარსელები—18,572, ებრაელები—5,859, გერმანელები—5,025, ყაზანის მაჰმადიანები—4,151, ლეკები—3,851, ქართველები—2,614 და სხვა.

◆ სამშაბათს, 13 სექტემბერს, ბათომში რუსის საზოგადოების საწყობში აღმოაჩინეს **ბერდანის თოფებითა, რევოლვერებითა და პატრონებით** სავსე 12 **ყუთი** („ჩერ. ვეს.").

◆ როგორც გაზეთი „ბაქო" გადმოგვცემს, ოთხშაბათს, 14 სექტემბერს, მაჰმადიანებისა და სომხების შერიგებისა გამო, პროცესია გენერალ-გუბერნატორის ფადეევის წინამძღოლობით **ბაქოს ქუჩებში დადიოდა**. ქალაქის საბჭოს მოედანზე რამდენიმე ათასს კაცს მოეყარა თავი. გენერალ-გუბერნატორს ხალხისთვის შემდეგის სიტყვებით მიუმართავს: ბაქოს მცხოვრებლები, რომელ ეროვნებასაც უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, ყველა რუსის ხელმწიფის ქვეშევრდომნი ხართ. ეს გარემოება არ უნდა დაივიწყოთ და თქვენში აღარავითარი განხეთქილება აღარ მოხდებაო. სიტყვები წარმოუთქვამთ აგრეთვე ყაზისა და დეკ. ტერ-ტაჩატს. ხალხი აღტაცებით ულოცავდა თურმე ერთმანეთს შერიგებას და მთელი დღე და ღამე ბაქოს ქუჩებზე ცეკვა და სიმღერა არ შეწყვეტილა.

შეცდომის გასწორება. „ივერიის" გუშინდელ ნომერში, მეორე გვერდზე, ფელეტონის **მეორე სვეტის პირველი სტრიქონი „-ხის ალებ-მიცემობისა და დროს ტარების იდი-"** შეცდომით გადატანილია **იმავე სვეტის ასწვრივ, სვეტის თავში.**

სადღეისო

ჰო, თუ არა?

ორ წყალ შუაა ჩავარდნილი გუნება: ჰო, თუ არა? ჰო, თუ არა? მხოლოდ ეს ორი საკითხავი დასდგომია ადამიანს თავს ჯალათივით, არ აძლევს მოსვენებას. იქნებ, მარტო ჩემს თავს არის ესა? იქნებ, მარტო ჩემი ბუნება გაიყო დღეს ორად და შენი კი მთელია, განუყოფელი? სდგას ერთს დონეზე ან „ჰო"-ზე, ან „არა"-ზე?

არა, არა! ვკითხულობ შენის სახის ფურცელსაც, თუნდ ძალიან გეწყინოს, ვინც უნდა იყო, ეს ორჭოფობა აღუბეჭდია შენის სახის მეტყველებასაც, როგორც ჩემს, ივანესას, პეტრესას და სხვა და სხვა.

— რადა?

— ამიტომ, რომ დროა ასეთი.

— როგორი დრო?

— შავი და ბნელი: ისმის კვნესა, ისმის ოხვრა, ისმის ტირილი; მოისმის ვიღაცის კივილი მხნე, გაბედული: წინ, წინ! მამაცად, შეუდრეკელად, ძმანო!"... კიდევ მეორე ხმა ამისივე მსგავსი... მესამე, მეოთხე... მეხუთე... მეექვსე... გახშირდა ძახილი გამხნევებისა, გახშირდა და... ისევ კვნესა, ისევ ოხვრა, ისევ ტირილი.

რის მომასწავებელია ეს ხმები, შემაძრწუნებელ-შემაწუხებელი!! სადაც ამისთანა ხმები ისმის, იქ სინათლე არაა საჭირო, ადვილად მისახვედრია, რაც ხდება... უბედურება, უკეთესობა... ულმერთობაა... ჰოო?

დიაღ, დიაღ!.. ბნელა... ბურუსია... ჯანღია... თოვლ-შხაპი, რომელსაც უგემური, უმადური ქარი თანა სდევს. გაშლის თავზე წინწკლებს და სახეს გლადრის.., გინდა წინ წასვლა, მაგრამ გაყენებს, გაბრკოლებს: „შესდექ, დაიწი უკან... უკან! მიდექ უკან, ხომ გესმის? თორემ"... ჰმ!.. აახ, კუდიანო ბებერო, ეს სულ შენი ბრალია, შენი ოინბაზობაა!

ჯერ ისევ ყრმა რომ ვიყავ, სრულიად გამოუცდელი, მაშინაც მესმოდა, მაგრამ თუ მევე მოვესწრებოდი არა მჯეროდა და, დახე, მოვესწარ, ისიც რა დროს? როცა ჯანი აღარ მაქვს ვებრძოლო, როცა სალსარი არ არის ხელი შევუბრუნო: მის გრძნეულ ჯოხს ჯოხი დავახვედრო, კივილს-კივილი, გრძნეულს ლოცვას გრძნეული ლოცვა.

—მაშ, ძნელია? არა სჩანს დილა? არ არის განთიადი?

— როგორ არა! თითქოს ირაჟრაჟა... გულმა გაიფართხიალა... ძლივს, მადლობა შენთვის, უფალო! ჩიტები მოემზადნენ საგალობლად, თავისებურის ჟივილ-ხივილით მიჰგებებოდნენ განთიადს, მაგრამ ისევ დაბნელდა და ფრინველთაც ჩაივლეს გულში განთიადის მოლოდინით აღძრული გრძნობები... არა... არა... და სდუმან.

— ჰოო?

— დიაღ, დიაღ! სდუმან და ელიან... განთიადს.

ბულბული სადღაა? რატომ არ გალობს? იმას თითქო ღამით უყვარს გალობა?

— სდუმს, აღარ გალობს. დროების არევამ, დღისა ღამედ გადაქცევამ პირზე კლიტე დაადო, გააჩუმა; გაბრუებული, გარინდებული და ელის სხვა ფრინველებთან ერთად, რომ უკუღმა მბრუნავი დრო წაღმა მობრუნდეს. საყვარელის მოლოდინი ძნელია: მოვა, თუ არა? ჰო, თუ არა?

ხალხი კარგად ჰხატავს ასე: მოლოდინის დროს ჯერ მდუმარებს ადამიანის გუნება, დაფარულად უკმაყოფილებას აცხადებს, ხოლო თუ გაგრძელდა ეს მოლოდინი—მაშინ ბრაზობს, ჯავრობს.

„მოდი, თუ მომავალი ხარ,
მომწყინდა შენი ლოდინი...
თუ ამაღამაც არ მოხვალ,
მიწამ დაგიგოს ლოგინი"-ო.

ორჭოფად ყოფნა ერთის ადამიანისა, თუნდა ასისა, განა შესადარებელია მთელის ერის ამ გვარსავე ყოფნასთან? შედეგი ერთნაირია, ხოლო სიდიადე მათ შორის სხვადასხვა. განა შეიძლება წყარო ზღვას შევადაროთ? გამწყრალი ზღვა მთელს ქვეყანას შთანთქავს, წყარო კი, ათასი გაწყრეს, ბევრს ვერაფერს გახდება, შეიძლება მხოლოდ თავისი თავი შთანთქას და შორს, უსკრულში ჩაიღუპოს.

და ჩვენ ხომ ზღვასთანა გვაქვს საქმე. ზღვაა დღეს მოლოდინში, იმის მკერდიდან ამოჰქუხს დღეს ეს საჭირ-ბოროტო ხმა: ჰო, თუ არა?

—

ბალღი გაჩნდა—ბუნების წესია—იზრდება, ჯანსაღია, ქვა მოინელა მისმა კუჭმა, ცელქობისათვის ხელ-ფეხზე დადებული ხუნდები დაადნო მისმა მოთმინებამ... იზრდება, მაინც იზრდება...

— არა, არა! ნუ იზრდება, ნუ!..

— რაა წამალი, არ გაიზარდოს?

— დავსვათ, თავზე და მხრებზე ლოდები, ფიცრები, რკინის ზოდები დავაწყოთ, იმდენი სიმძიმე მოვახერგოთ, საძრაობა აღარა ჰქონდეს. ვნახოთ თუ გაიზრდება, ჰმ! არ იშლის, ისევ ჩუჩუნებს, ინძრევა და... დახე, იყრეინებს თავსახურავებს.

იზრდება... არ იშლის, იზრდება...

„ნუ იზრდები, არ გესმის შენა? ნუ იზრდები მეთქი... ხათაბალა! არ იშლის, მაინც იზრდება, იყრევინებს მხრებიდან და თავიდან დაწყობილს ათას გვარს სიმძიმეს .. იწევს მაღლა-მაღლა.

„ეს რა ამბავია?!... არ იშლის მაინც თავისას?"

— არა. ცოცხალია, ბატონო, ცოცხალი!..

— იყოს ცოცხალი, მხოლოდ უნდა მაგრე იყოს, როგორც ჩემი ნებაა, უნდა დაეჩვიოს მობღუნძვით ყოფნას.

— თუ არ მოვკალით, ბატონო, არ შეიძლება: დღითი-დღე იზრდება, მატულობს. „დაჰკა! დაჰკა კარგად, რომ მორჯულდეს. თუ არა და სიკვდილიც მალე იქნება.

— ესეც დავკარი, ესეც ასე... ზაპ-ზუპე, ტყაპ ტყუპ...

„ჰა, რა ამბავია? საქმე როგორ არის"!..

— გაზდილა, ისევ იზრდება.

„მ...კ...!..

— ჰოო?

— არა, არა, სულ ტყუილია... ტყუილი შრომაა

აახ! ბალღო, ბალღო! შე ცელქო, შენა. განა იმიტომ გაჩნდი, გაიხარო კიდეც? ისაზრდოვო? არ შეგიძლიან გაიზარდო, არა!.. ამას გიბრძანებენ, ამას თხოულობენ შენგან. შენ კი მაინც იზრდები და გაიზრდები კიდეც. ვერც მოგკლავენ, რადგან ამით სარფას ვერ ჰნახავენ. გაცოცხლებენ, მხოლოდ ისეთი სიცოცხლით, როგორიც თვითონ ჰსურთ: არ იყო ახოვანი, ამაყი, თავ-მოყვარე, გამბედავი; გცემდნენ—ითმენდე, გძარცავდნენ—ხმას არ იღებდე და იყო ცოცხალი... აი, ამისთანა სიცოცხლეს გიმზადებენ, გინდა თუ არა?.. ჰო, თუ არა?

— ?!

ვაჟა-ფშაველა.

რუსეთი

სამხედრო კომისიას, რომელსაც პორტ-არტურის ჩაბარების გამოკვლევა აქვს მინდობილი, კვირაში ორჯერ ექნება სხდომა. სამხედრო პირები ირწმუნებიან, **საქმე წელიწადს მაინც გასწევსო.** კომისიამ 100-მდე მოწმეს უნდა ჩამოართვას ჩვენება (რ. ვ.).

◆ „გრაჟდანინ"-ის რედაქტორმა მეშჩერსკიმ პეტერბურგის ქალაქის მოურავს განცხადება წარუდგინა და სთხოვა, დღეს თუ ხვალ საზღვარგარეთიდან ვიტტე დაბრუნდება და საჭიროა ქალაქი დიდის ამბით დაუხვდეს მას, **მადლობა გადაუხადოს ზავის ჩამოგდებისთვისო**. ქალაქის მოურავმა ეს თხოვნა ვერ შეუსრულა მეშჩერსკის (რ. ო.).

◆ ეკატერინოსლავის სამხედრო სასამართლომ 12 სექტემბერს განიხილა საქმე ლაპალინისა, რომელსაც არეულობის დროს, იარაღით მოქმედება ბრალდება, და სასამართლომ ლაპალინს **ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა** (რ. ს.).

◆ ვორონეჟის გუბერნატორმა მოსწავლეთა და მასწავლებელთა საზოგადოება **მოსპო** (რ. ს.).

◆ ტირასპოლში **სალდათებმა აიკლეს**. ყოველ დღე მოქალაქენი ჩივიან (რ. ს.).

◆ ფინანსთა სამინისტრომ ნება დართო საზღვარგარეთიდან **უბაჟოდ 15 მილიონ ფუთ ქვა ნახშირის შემოტანაზე**. ნახშირს უმეტეს ნაწილად გერმანიიდან შემოიტანენ (რ. ვ.).

◆ 4 სექტემბერს, მინსკში ერთმა ქალმა ეკლესიაში ჯვარის წერის დროს, გოგირდის სიმჟავე შეასხა პირისახეზე ნეფეს—პოლიციელს კასპეროვიჩს, რომელიც წინად ამ ქალთან იყო დაკავშირებული (რ. ვ.).

◆ 4 სექტემბერს, მინსკში, **მძიმედ დასჭრეს პოლიციელი** (რ. ვ.).

◆ 4 სექტემბერს მინსკში სეირნობის დროს ხალხმა **ჯაშუში დაიჭირა და უწყალოდ სცემა** (რ. ს.).

◆ 6 სექტემბერს, ღამე რიგის **საპყრობილეს თავს დაეცნენ უცნობნი, კარებები შეამტვრიეს და რამდენიმე პოლიტიკური დამნაშავე გამოუშვეს**. დარაჯებმა და ზედამხედველმა სროლა ასტეხეს და განთავისუფლებული პატიმრები ხელიდან გააგდებინეს უცნობებს. სროლის დროს, მოკლულ იქმნა საპყრობილის ორი ზედამხედველი და ერთი პოლიციელი, დაიჭრა რამდენიმე ზედამხედველი. დააპატიმრეს მხოლოდ ერთი მსროლელი, რომელმაც პოლიციელი მოჰკლა (რ. ვ.).

◆ **პრესის თავისუფლება.** „კოსტ. ლისტ." აცხადებს: ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეხისა გამო ვერ იბეჭდება ორი კორესპონდენცია, კრების ანგარიში, ექიმთა რეზოლუცია, სამედიცინო წერილი და მრავალი ახალი ამბავი (მ. ვ.).

◆ „რუს. ვედ."-ის რედაქცია აცხადებს: **ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზისა გამო** სრულად ვერ იბეჭდება საერობო და საქალაქო მოღვაწეთა კრების ანგარიში (რ. ვ.).

◆ განთქმულმა კრიტიკოსმა ბრანდესმა „მოს. ვედ"-ის სიტყვით **მოწოდებით მიჰმართა** პოლონეთის ახალგაზდობას და ერთხელვე არჩეულ პოლიტიკის განგრძობა ურჩია.

◆ ამავე გაზეთის სიტყვით გერმანიის მუშათა პარტიის ბელადმა **ბებელმა მოწოდებით მიჰმართა** რუსეთში მცხოვრებ გერმანელებს და რუსეთის მუშა-ხალხთან სოლიდარობა ურჩია.

კორესპონდენცია

თელავი, 10 ენკენისთვე. ამას წინად გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ ვითომ უმაღლეს მთავრობას განეზრახოს თელავის სასულიერო სასწავლებლის დახურვა. ჩვენ არ ვიცით, რამდენად მართალია ეს ხმა. უნდა კი ვსთქვათ, რომ მთავრობა ისე არ გადასწყვეტავდა ამ საკითხს, რომ არ დაჰკითხებოდა სამღვდელოებას, რომლის ხარჯითაც ინახება ეს სასწავლებელი და რომელთა შვილებიც იზრდებიან აქ.

თელავის სასულიერო სასწავლებლის შესანახად კარგა ფულსა ხარჯავს სამი მაზრის სამღვდელოება ანუ კრებული: თელავისა, სიღნაღისა და თიანეთისა. ამ სასწავლებლის დანიშნულება არის აღზარდოს ხსენებულ სამ მაზრის კრებულთა შვილები. მიუხედავათ ამისა, თელავის სასულიერო სასწავლებელში თვითონ მღვდლის შვილები ძალიან ცოტანი სწავლობენ. მოწაფეთა უმრავლესობა მედავითნეთა შვილებია.

თელავის სასულიერო სასწავლებლის არსებობით, მისი ბედით თუ უბედობით ყველაზე მეტად დაინტერესებულნი არიან ჯერ მედავითნენი ზემოდმოხსენებულ სამის მაზრისა, შემდეგ თელავის მაზრის მღვდლები, რომლებიც შედარებით სიღნაღის მაზრის მღვდლებთან ღარიბები არიან და თელავში შვილების აღზრდა უფრო ეხერხებათ. სიღნაღის მაზრის მღვდლები, როგორც უფრო შეძლებულნი, შვილებს ტფილისში უფრო ზრდიან.

ამიტომ თუ რომ თელავის სასულიერო სასწავლებლის არსებობაზე სჯა-ბაასი იქნება როდისმე, ამ სჯა-ბაასში უსათუოდ მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდნენ მედავითნენი სამის მაზრისა და საზოგადოდ ის სამღვდელო პირნი, რომელთა შვილებიც ამ სასწავლებელში იზრდებიან. ნამდვილად კი ჩვენ ამას არა ვხედავთ.—თელავის, თიანეთის და სიღნაღის მაზრის სამღვდელონი წელიწადში ერთხელ იკრიბებიან ხოლმე თელავის სასულიერო სასწავლებელში. აქ ბაასობენ სასწავლებლის საქმეებზე, მომავალ წლისათვის ხარჯს იწერენ და არც ერთი მედავითნე ამ კრებაზე არ ესწრება. ეს ჩვენის ფიქრით უსამართლობაა.

მოგეხსენებათ რომ ამ ზაფხულს სამღვდელოებამ არ განიხილა სასულიერო სასწავლებლების ხარჯთაღრიცხვა. ამ გარემოებამ შეცდომაში შეიყვანა მთავრობა სახელდობრ, მთავრობას უფიქრია, რომ მღვდლებს უფრო იმიტომ აუცრუვდათ გული სასულიერო სასწავლებლებზე, რომ ხარჯის გადახდა ეძნელებათო. ამიტომ ამ რამდენიმე კვირის წინად თელავის სასულიერო სასწავლებელს ბრძანება მოუვიდა ექსარხოსისაგან: ღონისძიება იხმარეთ, რომ სექტემბერში სწავლა დაიწყოს, სხვათა შორის, მომავალ წლის ხარჯი შეამცირეთო. ამაზე სასულიერო სასწავლებლის გამგეობამ უპასუხა: მომავალ წლისთვის ხარჯს ვერ შევამცირებთ და, გინდაც რომ შევამციროთ, ამით სამღვდელოება სასწავლებელზე გულს ვერ მოაბრუნებსო. სამღვდელოებას ფულის გადახდა კი არ ეზარება, არამედ იმას სურს, რომ სასულიერო სასწავლებლებში შემოღებულ იყოს ფართო რეფორმები: დაარსდეს ამორჩევითი წესი უფროსებისა, საგნები ისწავლებოდეს ქართულად და სხვა და სხვა ამაზე თელავის სასულიერო სასწავლებელს ექსარხოსმა მოსწერა: მაშ, იქონიეთ დამოკიდებულება ადგილობრივ სამღვდელოებასთან, მოიწვიეთ 20 ენკენისთვისთვის საოლქო კრება და, დეე, სამღვდელოებამ გამოსთქვას, რა გვარი ტიპის სკოლა უნდათო.

თელავის სასულიერო სასწავლებელმა უკვე დაუგზავნა სამღვდელოებას მოწვევის ბარათები. 20 ენკენისთვის კრება დიდმნიშვნელოვანი იქნება. ჩვენის ფიქრით, 20 ენკენისთვეს სამღვდელოების კრებამ მხარი უნდა დაუჭიროს თელავის სასწავლებლის გამგეობის მოხსენებას, უნდა ერთხელ კიდევ აცნობოს მთავრობას, რომ მათ უნდათ სკოლა, მხოლოდ სხვა სახისა. თუ ეს ასე არ მოხდება და სამღვდელოება სრულ უარს განაცხადებს სკოლებზე, მაშინ მთავრობა ბევრს აღარ იფიქრებს, თელავის სასულიერო სასწავლებელს ადვილად გააუქმებს, რასაც ამ სკოლაზე ფულსა ხარჯავს თავის მხრივ 7550 მ. წელიწადში, სხვაგან გადაიტანს და იმ დროს, როდესაც სხვა სასწავლებლებში განახლების შუქი შეაშუქებს, ჩვენი ნაამაგდარი თელავის სასულიერო სასწავლებელი სამუდამოდ კარებდახშული იქნება და მაშინ გვიანღა იქნება შენანებანი და თითზე კბენანი.

ერთი მასწავლებელთაგანი.

—

დ. ახალ-სენაკი. 11 სექტემბერი. 1 სექტემბერს დაბა ახალ-სენაკში საერთო გაფიცვა მოხდა ყველა დუქნები დაკეტილი იყო. დაბას მთელი დღე სიცოცხლის ნიშან წყალი არ ეტყობოდა...

კვირას, 4 სექტემბერს, ადგილობრივ სამინისტრო სასწავლებლის შენობაში დანიშნული იყო კრება სამაზრო საერობო საბჭოში დეპუტატების ასარჩევად, მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე დადიანის თავმჯდომარეობით... კრებაზე, სხვათა შორის, გამოცხადნენ ფოთის ქალაქის გამგეობის მიერ არჩეული სამი წარმომადგენელნიც: მიხეილ ესაკია, იაკობ ფანცხავა და ჩაჩანიძე. ამათთან ერთად კრებაზე მოვიდა სამი სხვა კაციც: დ. ტუღუში, დოლიძე და გასამე... ტუღუშმა განაცხადა, რომ ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები ჩვენ ვართ და არა ისინი, რომელნიც გამოგზავნა ქალაქის გამგეობამო. ტუღუშის სიტყვები დაამტკიცეს ქ. ფოთიდან მოსულებმა. თავმჯდომარეს ნამდვილ წარმომადგენლებად მიაჩნდა ქალაქის გამგეობის მიერ გამოგზავნილები... მიხეილ ესაკიამ განაცხადა: მე არ მსურს მონაწილეობა მივიღო კრებაზე, სანამ ფოთის ქალაქის გამგეობას არ შევეკითხებით ნამდვილად ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლები არიან ისინი, რომლებიც ქალაქის გამგეობამ გამოგზავნა თუ არაო. ამავე აზრისა იყო წარმომადგენელი დავითაია. თავმჯდომარემ კრების გაგრძელება შეუძლებლად სცნო და კრება დახურა.

მეორე კრებაზე, 11 სექტემბერს, საზოგადოება სულ არ გამოცხადებულა. წარმომადგენლებშიაც ბევრი აკლდა. ამის მიზეზი სხვათაშორის ის დაასახელეს, რომ პოლიციის საშუალებით ბევრისთვის სოფლებში არ შეუტყობინებიათო.. მიუხედავად ამისა კრება საერობო დებულების ზოგიერთ მუხლების განხილვას შეუდგა და კრებაც დასრულდა.

ამ დღეებში ტფილისიდან დეპეშებში გადმოცემული იყო ამბავი 4 სექტემბერს სად. აბაშაში მომხდარ ამბის გამო...

ათავრენ. მ.

ღამის დეპეშები

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

17 სექტემბერი.

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა სამინისტრო აპირობს საქალაქო დებულება იმდენად შესცვალოს, რომ ქალაქის სამმართველოების მოხელეები დაუდევრობის გამო მოპასუხენი იყვნენ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, და პროკურორს შეეძლოს გამოძიება აღძრას, თუ რომ ბოროტმოქმედება ეუწყა.

„ნაშა ჟიზნი" იუწყება მიწად-მოქმედებისა და სახაზინო ქონებათა სამინისტრო უნდა აღადგინონო. მინისტრად ხერსონის თავად-აზნაურთა წინამძღოლი სუხომლინოვი დაინიშნებაო.

„სინ ოტეჩესტვა" იუწყება, კუროპატკინის მტკიცე მოთხოვნილებით, საგანგებო კომისია არსდება, რომელმაც უნდა გამოიძიოს გენერლების კაულბარსისა და სობოლევის მოქმედება მუკდენის ბრძოლაში. კუროპატკინი ამ გენერლებს აბრალებს, ჩემი ბრძანება არ აასრულესო.

განსაკუთრებულს საბჭოს, გრაფ სოლსკის თავმჯდომარეობით, შეუკრებია ისტორიული მასალა მინისტრთა რჩევის საერთო მოქმედების შესახებ. ამ დაწესებულების მოქმედება თანდათან სუსტდებოდა თურმე. ალექსანდრე მეორე დროს მინისტრთა რჩევა შეკრებილა: 1858 წელს 23-ხელ, 1861 წ.—21, 1872—1800 წლებში მხოლოდ ექვსჯერ. ალექსანდრე მესამის მეფობის დროს—სულ ორჯერ, ისიც პირველ წლებში; შემდეგში კი არც ერთხელ აღარ შეკრებილა 1904 წლამდე.

„ნოვოე ვრემია" იუწყება, ახლო მომავალში წარჩინებულ მოხელეთა კრება განიხილავს საკითხს სახელმწიფო სათათბიროსათვის წარმომადგენელთა არჩევნების შესახებ ციმბირსა და კავკასიასა და თურქესტანში.

სამხედრო უწყების მომუშავეთა მდგომარეობის გასაუმჯობესელ საშვალებათა გამოსარკვევად დაარსებულმა კომისიამ დაამთავრა თვისი შრომა. კომისიას საჭიროდ მიაჩნია 8 საათის სამუშაო დღე დაწესდეს, მოეწყოს არა სავალდებულო შრომა—კვირა-უქმე დღეებში და აგრეთვე ღამისა, ქალებისა მოზარდებისა და ბავშვებისა; დაწესდეს ხელფასის მინიმუმი და თანდათან ემატებოდეს, მოეწყოს სადგომები და სამკურნალოები.

ოქტომბერში სახელმწიფო დებულების გადასინჯვას შეუდგებიან და საბოლოოდ გადაწყდება მინისტრთა კაბინეტის დაარსების საკითხიც.

კერძო კრებათა წესდებაც შედგენილია. სტუდენტებს ნება ეძლევათ კერძო კრებებში მონაწილეობისა.

სახელმწიფო სათათბიროს კრებებს მხოლოდ პეტერბურგის 15 გამოცემის წარმომადგენელნი დაესწრებიან: სხვა ჟურნალ-გაზეთები ოფიციალურ ანგარიშების გადაბეჭდვით უნდა დაკმაყოფილდნენ.

(რუსეთის და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოებისაგან)

მიტავა, რკინის გზის სადგურ მარიენგოფს ავაზაკები დაეცნენ, მოჰკლეს სადგურის უფროსი და მისი ცოლი კასსაც გაძარცვულიაო.

ქუთაისი. საგუბერნიო სათათბიროს მეორე კრება ობსტრუქციონისტებმა დაშალეს და სროლაც ასტეხეს.

ხარკოვი. უნივერსიტეტის კრებულმა გადასწყვიტა სწავლა დაიწყოს 20 ოქტომბერს და დათხოვნილი სტუდენტები ერთიანად მიიღოს.

მოსკოვი. ქალების კურსებზე მიიღეს 500, გააბრუნეს 800,—ერობისა და ქალაქის წარმომადგენელთა შემდეგი საერთო კრება ნოემბერში იქნება, როცა გამოირკვევა სახელმწიფო სათათბიროში გასაგზავნი კანდიდატები. კრებაზე გლეხებსაც მიიწვევენ.

პეტერბურგი. პრივისლიანის მხარეში 8 ოქტომბრიდან 14 მდე 47 კაცი გახდა ავად ხოლერით და 25 გარდაიცვალა.

მაკარიევი. რადგან სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ვაჟთა გიმნაზიის დაარსებაზე უარი განაცხადა, საერობო კრებამ დაადგინა არავითარი შუამდგომლობა სასწავლებლების შესახებ მზრუნველს აღარ წარუდგინოს, ვიდრე სახალხო წარმომადგენლობა არ დაარსდება.

სტამბოლი. ავსტრიელთა გოსპიტალში გამომძიებელმა კომისიამ, ავსტრიის თანადასწრებით, აღმოაჩინა 40 კილოგრამი მელინიტი, მრავალი ყუმბარა, დინამიტით გატენილი, თოფისწამალი, იარაღი და მასალა ეს ყოველივე სომეხ-მეკარეს არაქელსა და მის ქალს შეეტანათ.

სალონიკი. აქ ინგლისის ესკადრას მოელიან 18 ოქტომბერს. ესკადრაში 40 სამხედრო გემი იქნება. ამით ინგლისმა ოსმალეთს ძალა უნდა დაატანოს, რომ მაკედონიაში საფინანსო კონტროლი შემოიღოსო.

პარიზი. პოლიტიკურ წრეებში ფიქრობენ, ინგლის იაპონიის ხელშეკრულობაში საიდუმლო პირობებიც არის ტიბეტისა, ინდოეთისა, სპარსეთისა და ავგანისტანის შესახებ.

დროებითი რედაქტორი ფ. გოგიჩაიშვილი.
გამომცემელი თ. პავლე ი. თუმანიშვილი.

როიალები, პიანინო, ფისგა-მორ-ნები.
გიტარები, გრამმოფონები, ულიტაბი, სიმები, კლარნეტები და სხ. და სხ.
ყველა ამ სამუსიკო იარაღების შეძენა შეიძლება ფასების ნაწილ-ნაწილად გადახდითაც.
მსურველთ პრეისკურანტები მუქთად ეგზავნებათ.
კავკასიის ცენტრალური საწყობი სამუსიკო საგრებისა
ბ. მ. მირიმანიანისა.
ტფილისი, სასახლის ქუჩა, ქართ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
Кавказское ДЕПО музыкальныхъ инструментовъ
Б. М. МИРИМАНІАНЪ.
Тифлисъ. Дворцовая, д. груз. дворянства.
(25—5.—3)

1 ენკენისთვიდან ქუთაისის სამეგრელო ამ. „კოლხიდა"-ს კანტორა გადავიდა ზაქარია კოკოჩაშვილის სახლში, ალექსანდროვის ბაღის, ქალაქის ბაღის მახლობლად. აქვე დარიგდება
ჟურნალ-გაზეთების კანტორა
სადაც იყიდება ცალკე ნომრობით ყველა ქართულ-რუსული ჟურნალ-გაზეთები და მიიღება იმათზე ხელის მოწერა. 3—3

Дозволено цензурою' Тифлисъ, 17 Сентября 1905 г.
ელექტრომბეჭდავი „ცისკარი", ფრეილინის. ქ., № 5.